მეორე წელიწადი | ფასი 5 კაპ. | სამშაბათი, 13 თიბათვე 1916 წ. | № 131

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., [illegible] უკანასკნელზე—10 კ. [illegible] ლებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით 1-ლ გვერდზე [illegible] 20 კ., ტექსტში—60 კ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლ. გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მ.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი მეორე. **საქართველო** წელიწადი მეორე.

**უპრემიოდ ღირს:** ყოველ-კვირეულ სურათებიან დამატებით ერთის წლით 8 მ. 50 კ. 6 თვით—4 მ. 50 კ. 3 თვით—2 მ. 40 კ. 1 თვით—80 კ. თვიურად ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველიდან პირ-მდე.
**პრემიებით:** წლიურად—10 მ. ხელის მოწერისას 5 მ. 1 თიბათვიდან—9 მან. გაზეთი ყველა პრემიებით 9 მანეთად დაუთმობა, ვინც ფულს ამთავითვე სრულად შემოიტანს.
**სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივის ზომისა ღირს 3 მან. ნაშუადღევის 4 საათის შემდეგ 4—მან.**
გაზეთის კანტორა ღიაა დილით—9—3 საათამდე საღამოთი—5—7 საათამდე.
**ფოსტის მისამართი:** Тифлисъ. Московская ул. № 4, домъ Габаева. Почтовый ящикъ № 76.
რედაქტორ-გამომცემელი **სანდრო შანშიაშვილი.**

გულთათუქულნი მშობლები: **ანნა ანდრიას ასული და ვასილი სპირიდონის ძე ბარკალაია, და ბაბილინა, ძმები: ვასიკო და კაკო** გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, უდროვოდ გარდაცვალებას უძვირფასესი და უსაყვარლესი პირველნი ასულისას და უკანასკნელნი დაუვიწყარი დისას, თბილისის საქალებო გიმნაზიის მოწაფის

## თამარა ბარკალაიასას

გამოსვენება რკინის გზის საავადმყოფოდან დღეს 14 თიბათვეს საღამოს 5 საათზე. დაკრძალვა კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე.

---

თავზარ დაცემულნი ბებია **ელისაბედი სიმონის ასული ბარკალაიასი,** დეიდები: **ანეტა ანდრიას ასული დათუაშვილისა, ნადეჟდა ანდრიას ასული ბარკალაია,** ბიცოლა **ბაბუცა ილარიონის ასული და ბიძიები მალაქია და ანდრუშა ანდრიას ძენი ბარკალაიები,** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ უდროვოთ გარდაცვალებას უძვირფასესი და უსაყვარლესი თბილისის პირველი საქალებო გიმნაზიის მოწაფის

## თამარა ბარკალაიასას

გამოსვენება რკინის გზის საავადმყოფოდან დღეს, 14 თიბათვეს, საღამოს 5 საათზე, დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე.
(1-232-1)

---

11 ივნისს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

## ევდოკია ივანეს ასული შიუკაშვილისა

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ქალი **თამარ შიუკაშვილი,** დედა **ანასტასია,** ძმები **მღ. რაჟდენ და მიხეილ,** რძლები: **დარია, ელისაბედ და ელენე,** ძმისწულები: **ელენე, ირაკლი, შალვა და ნინა დარჩიაშვილები.** გამოსვენება დღეს, 14 თიბათვეს, დილის 9 საათზე ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. (ბინიდგან იზმაილოვის შესახვევი № 6). დაკრძალვა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. (1—230—1)

## ხარფუხის საზოგადო კლუბი

(მიხეილის პროსპექტი № 131, საზაფხულო შენობაში)

სამშაბათს 14 თიბათვეს, სომხურ ოპერეტიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება **სომხურ ენაზედ** ცნობილი მხიარული ოპერეტა

### არშინ მალ-ალან

4 მოქ. გადჟიბეგოვისა, თარგმანი ს. მალალიანისა.

ოპერეტაზედ შესვლა უფასოა.
სტუმრები შედიან ვლუბში საზოგადო წესით.
**დასაწყისი საღამოს 9 საათზე.** (1-137-1)

---

### ი ყ ი დ ე ბ ა

ახალი წლევანდელი **ნიორი** 400 ფუთი ამასთანავე შეიძლიან დავამზადო ოცი ფუთი **ტყემლის ტყლაპი.** მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ქ. სიღნაღში **სოსიკო ჯანგულაშვილს.**
(3-133-1)

---

### ვაგზლის სამკურნალოში

(შიხინოვის ვაგზლის აფთიაქის გვერდით)

**სამკურნალოს ყველა ექიმებმა კვლავ განაახლეს ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე.**

აგრეთვე ექიმი—ქალი **მარ. კონ. იოსელიანისა** მიიღებს დედათა სნეულებით ავადმყოფთ დილის 10—11 საათამდე.

---

### სავაჭრო სახლი „ძმ. სესიევები და ამხ.“

(ვაგზლის ქ. № 6)

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ **პირველ ივნისიდან** ამა 1916 წ. თავის საწყობში წვრილად გაიყიდება

**ნამდვილი კახური საკუთარი ვენახების ღვინო**
(13-207-4)

---

### შრომისა და ბინის მძებნელ პირთა განცხადებანი

— დაიბეჭდება მეოთხე გვერდზე —
ხელმისაწვდომ ფასად

---

**გახმაროს** მომხმარებელთა საზოგადოება **„ჯანმრთელობა“-ს**
გამგეობა ამით აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ სეზონი

### აგარაკ გახმაროზე იხსნება
### 20 ივნისიდან და გრძელდება 20 აგვისტომდე

გამგეობას საჭირო სანოვაგე მომხმარებელთათვის უკვე შეძენილი აქვს
მომხ. საზ. „ჯანმრთელობა“-ს გამგეობა.

---

### შეშის საწყობი
### ნიკოლოზ იოს. ჭრელაშვილისა

ანდრიას ქუჩა, № 87. საუკეთესო ღირსების შეშა
ყველასთვის ხელმისაწვდენ ფასზ
**საკუთარი ტყიდან**
საწყობს აქვს გადამზიდავი ურმები და კისრულობს შინ მიტანასაც
(108—წ.) ტელეფონი 5—96.

---

### ქ. გაგრაში
### ღვინით ვაჭრობა
### „მელაანი“
### თ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი და ამხ.

იშოვება საუკეთესო კახური ღვინოები
(112—წ.)

---

### ვამზადებთ

პირობით ხელმისაწვდომ ფასებში
**პრაპორშჩიკთა სკოლისათვის**

მეცადინეობა დაიწყება 20 თიბათვიდან. პირადათ მოლაპარაკება საღამოს 6—7 საათამდე.
**მისამართი:** მოსკოვის ქუჩა, სახლი 24, ბინა 1. 25—128—5

---

### ვეძებ ადგილს

**ახალგაზდა კაცი, თავისუფალი სამხედრო ბეგარისაგან,** საშუალო განათლებით, ვიცნობ კარგათ სასამართლოს საქმეს, რკინის გზისას (სპეციალურათ), ბუხგალტერიას. ხელი ლამაზი მაქვს. შემიძლიან სათავდებო თანხაც შევიტანო.
მისამართი: „საქართველო“-ს რედაქცია, პროკოფისათვის. (2-215-2)

---

**უცხოეთიდან რუსეთში დაბრუნდა**
ე ქ ი მ ი
### ა. დ. შაჰაზიანცი

ყოფილი ასისტ. ბერლინის საუნივერსიტეტო კლინიკისა, ყოველდღე ღებულობს ქალთა და საშარდე სნეულებათა ავადმყოფებს. საღ. 5—7 ს. ვერის დაღმ., № 1. სახ. მელიქ-აზარიანცისა, ტელ. 1—96.

---

**დოქტორი მედიცინისა**
მოსე ანთიმოსის ძე
### კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.
**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს თიბათვის** 15-დან **იღებს მანგლისში**
, კორპუსის ბანაკში

---

**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში,** ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
### ახალი აფთიაქი
◆ პროვიზორის **ახვლედიანისა** ◆

---

**კბილის ექიმმა**
### მამულაიშვილმა
**(ხოდნევისამ)**

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.
ოლღას ქუჩა, № 22.

---

ე ქ ი მ ი
### მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყ. **ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა** სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს **შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს:** გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად, საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

---

**დ. ზესტაფონში**
### ე ქ ი მ ი
### დ. კ. მაჭავარიანი

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე

---

### ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიჟნის ქუჩა, № 19.

---

**ექიმი-დოსტაქარი**
### გ. მ. მ უ ხ ა ძ ე

იღებს ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: კუთხე კიროჩნი და დიდი მთავრის ქუჩისა, სახლი სვანიშვილისა; შესავალი დიდი მთავრის ქუჩიდან № 67 ოფიცერთა ეკონომიური საზოგადოების შენობის პირდაპირ. ტელეფონი № 5—77.

---

**ღვინის საწყობი**
### ნიკო გ. სესიაშვილისა

◆ იყიდება ხელსაყრელ ფასებში საუცხოვო ნამდვილი ◆
### კახური ღვინო

განოვის ქუჩა № 4.
——— სახლი სათავად-აზნაურო ბანკისა. ———
(185—წ.)

## თბილისი, 14 თიბათვე

**უცხოთაგან ქართული საზოგადოებრიობის დაშლა.**

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულიდან საქართველოს შინაგანი და საგარეო ურთიერთობა არსებითად შეიცვალა, უკვე ყველასაგან ცნობილი მიზეზების გამო. საქართველო განქრა, როგორც თავისუფალი იურიდიული პიროვნება და მისი საგარეო პოლიტიკაც გაუქმდა.

შინაგან ცხოვრებაში მან დაჰკარგა ყველა ინსტიტუტი, სადაც ცხადდებოდა თავისუფალი ერის სოციალ-პოლიტიკური შემოქმედება. დადგა დრო როდესაც, ქართველი ერის დაუკითხავად, საქართველოში შემოსვლა და ბატონ-პატრონობა ყველას შეეძლო. ამ „ღია კარების“ ხანაში მრავალი უცხო ელემენტი შემოიჭრა კიდეც.

შემოსული ელემენტი მკვეთრად გამოთქმული პიროვნებაა. არა-ერთი ათასი წლის წინა—ისტორიულ ცხოვრებას და არა-ერთი საუკუნის ისტორიულ-კულტურულ ცხოვრებას უმუშავნია მის ჩამოსაქნელად. დიდს ტრადიციას აწმყოსი მოპოების და მომავალის განმტკიცების უქრობი ჟინი მასში მკვიდრად განუმტკიცებია. წინ და წინვე განსაზღვრული თავისი ეროვნული დანიშნულების აღმასრულებელი ზრახვა გულის სიღრმეში თან ედო შემოსულს. თავის არსებას ის ვერ უღალატებდა. საუკუნოებით გაჭედილი ეროვნული სახიერება შეგნებულ თავდაცვას უნდა შესდგომოდა სხვის, ქართველის სამშობლოში. ასეთ პირობებში შემოსულ ელემენტსა და ძირეულ ელემენტს შორის არსებითი ეროვნულ-ორგანიული შეურიგებლობა უნდა ჩამოვარდნილიყო, ნამდვილი სიკვდილ-სიცოცხლის ბრძოლა. რადგანაც საქართველოში რამოდენიმე უცხო ელემენტი იყო შემოჭრილი, განსაზღვრულ დრომდე მათ ერთად გასავლელი გზაც აღმოაჩნდათ. მათი შეთანხმება და კოალიცია საქართველოშივე ქართველი ერის წინააღმდეგ სრულიად ბუნებრივად უნდა მომხდარიყო და მოხდა კიდეც. ვინ პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივის იარაღით გვებრძოდა და ვინ კიდევ ეკონომიურის იარაღით.

ცხოვრების ბრუნვის უსამართლობით თავდაცვის იარაღს მოკლებული ქართველობა შემოსეულთა წინაშე სუსტი აღმოჩნდა და პოზიცია პოზიციაზედ დაჰკარგა. შემოსულები თან და თან იჭერდენ ქართველის მამა-პაპეულ სამკვიდრებელს, ეუფლებოდენ საქართველოს საგანძურებს. საქართველოში ჩადგა ბრძოლა, რომელსაც იწვევს ერის დინამიკური განვითარების კანონი და ერის ერთ წოდებას კლასს ერის მეორე წოდებასა და თუ კლასს უპირისპირებს. ამ ბრძოლის ადგილი, ჩვენ შინაგან ცხოვრებაში, დაიჭირა ბრძოლამ ქართველებსა და არა-ქართველებ შორის. ბრძოლის პირობების უპირატესობამ ამ უკანასკნელებს გამარჯვება მისცა და აგერ ათი ხუთმეტი წელიწადია, რაც საქართველოში სწარმოებს ქართველი ერის ნაძალადევი გადაშენებისა და აღმოფხვრის პროცესი. ნადგურდება და იშლება ქართველი საზოგადოებრიობა. დაირღვა და განიავდა რაც წინაპართაგან ჩვენზედ გადმოსულა.

ეს მოვლენა მოსჩანს ყოველგან და ყველაფერში, იგი ჰფარავს ყველაფერს დუნედ და უგრძნობლად სცემს ერის მაჯა, რომელმაც სიცოცხლე და მომავალი უნდა შეუნახოს ქვეყანას. ამ მაჯას საგანგებოდ ძებნა უნდა. საშიში და სახიფათო ხდება ჩვენი მდგომარეობისათვის ის, რაც სრულიად უშიშარ რამედ იყო მიჩნეული. „კარ-ღიაობამ“ და ჩვენმა დასუსტებამ სხვებს ძალა შემატა, გაათავხედა.

ჩვენი მეფეების დროს შემოყვანილი სომხები დროთა განმავლობაში სრულიად გაქართველდენ. ჩვენს სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას ბუნებრივის გზით რომ ევლო, ისინი ქართულ კულტურას და ქართველ ერის ორგანიზმის გაზრდას გზას ვერ გადაუღობავენ. მაგრამ დღეს, ამ ასი წლის შემდეგ მოხდა ის, რაც მოსალოდნელი არ იყო. თავის ქეიფით შემოჭრილმა სომხებმა თან მოიტანეს მტკიცე ინსტიქტი სომხეთის შექმნისა საქართველოს ხარჯზე. ამ ზვიადებმა მაგრად ფეხი მოიმაგრეს. ეკონომიური სიძლიერე და დღევანდელი ომის წყალობით მათ განსაკუთრებული საერთაშორისო ღირებულება მეტ გამბედაობას მატებთ. დღეს ეს სომხები სხვათა შორის შეუდგნენ იმ გაქართველებული სომხების კვლავ გასომხებას, რომელთაც, რამდენიმე თაობაა რაც დაჰკარგეს სომხური ენა, ზნე-ჩვეულება და ადათი. საქართველოში შემოსული მებრძოლი სომხობა დიდ მუშაობას დაადგა გაქართველებული ძმების მოსაბრუნებლად. განზრახულია ქართულს ენაზე საგანგებო გაზეთის გამოცემა, რომ სომხურის არ მცოდნე სომხებს შეაგნებინონ, თუ ვინ არიან და რომ ისინი სომხურ კულტურას და სულისკვეთებას აზიარონ.

ეროვნულ თვითშეგნებას ვერავის აუკრძალავ. მაგრამ ამგვარ ფაქტებს ჩვენთვის სამწუხარო შედეგი რომ მოაქვს, ამას მტკიცება არ უნდა. სომხები ჩვენში მთელი თავიანთი ძალის მობილიზაციას ახდენენ. ეს დარაზმული და ეროვნულის იდეალით გატაცებული სომხობა, რომლის ფიზიკური გამრავლება, გაწევ-გამოწევა საქართველოს ორგანიზმისა და მიწა-წყლის ხარჯზე უნდა მოხდეს, აშკარა საფრთხეს წარმოადგენს ჩვენი აღორძინებისათვის. ცხადია, როგორც ორჯელ ორი ოთხი, რომ ერთი ერის სამკვიდრებელში მეორე ერის გაზრდა, გამრავლება და კულტურულ ეკონომიური გაღონიერება ძირეული მკვიდრი ერის საზარალოდ მოხდება. ქართველობა არაფერს უპირდაპირებს იმ მობილიზაციას, რომელსაც ჩვენს სამშობლოში უცხო ტომისანი დასდგომიან და რომელსაც ჩვენი ეროვნული, კულტურულ-ეკონომიური და პოლიტიკური ცხოვრების მოდუნება და შებორკვა მოაქვს. ჩვენში აფუჩეჩებენ და მნიშვნელობას უკარგავენ ეროვნული თავდაცვისა და გაზრდა-გაწევის ინსტიქტს. არ არის უზენაესი ზრუნვა რომ შილებული იქმნან შეგნებული ღონისძიებანი იმ გამანადგურებელი ზრახვისა და ტალღის შესაყენებლად, რომელიც საქართველოში ქართველების კეთილდღეობას ძირს უთხრის და პირქვე ამხობს. იმ ასი წლის ეროვნული რღვევის პროცესმა წარმოშვა ულონოთა ფსიხოლოგია, ეროვნული ალტრუიზმისა. ჩვენში გავრცელდა ყოვლად უაზრო და უსახო ინტერნაციონალიზმი, რომელიც ქადაგებს ეროვნულ პასივიზმს, ეროვნულ დათმობას. ეს დაკნინების იდეოლოგია ვერ ბედავს გააფრთხილოს და ხმა აღიმაღლოს იმ მადა-აღძრულ უცხო ელემენტების წინააღმდეგ, რომელთაც, დღისით მზისით ჩვენი ეროვნული დაშლა, დაქსაქსვა და დასუსტება მოაქვს.

# ომის ამბები

## ბრძოლის ველზე

ზოგიერთა რუსი სამხედრო მიმომხილველი გულუბრყვილოდ იხუჭავს თვალს, ვითომც გერმანელები მარტო თავდაცვით დაკმაყოფილდებიან და 1815 წლის ლაშქრობას არ განიმეორებენო. საბუთი? საბუთად საზოგადო მდგომარეობა კი არ მოჰყავთ, თუ სახელდობრ რას შეუძლიან ხელი შეუშალოს ასეთს ლაშქრობაში, არამედ ის, რომ თვით გერმანელი გაზეთები ასე ამბობენო. ჩვენ არ ვიცით რას ამბობენ გერმანელი გაზეთები, მაგრამ რომ ინიციატივა ხელთ იგდეს გერმანელებმა და რუსის ჯართა წინ სვლა ფაქტიურად შეჩერებულია, ეს აშკარად სჩანს თვით მთავარ შტაბის მოხსენებიდან. აგერ უკანასკნელი კვირა უმნიშვნელო ეპიზოდების აღწერაში მიდის, რომელთაც სრულიად კერძო და ადგილობრივი ხასიათი აქვთ და საზოგადო მსვლელობაზე არავითარი გავლენის მოხდენა არ შეუძლიან. გენ. კალედინი, რომელიც ლუცკის რაიონში შეიჭრა პირველ ლაშქრობის დღესვე, ეხლა ფაქტიურად ორი მხრით იტანს გერმანელთა ცეცხლის ქარიშხალს. გერმანელთა ნაცადი ხელი უკვე გამოჩნდა, ჯერ ნელია ხმა, სავსებით არ გაუვითარებიათ ფალანგით შემოტევა, მაგრამ რომ ის დროც შორს აღარ არის, ამას თვით „ნოვ. ვრემიაც“ აღარ ჰმალავს. მისი სამხედრო მიმომხილველი გაბედულად აღნიშნავს რუსთა დიდს ზარალს. აღნიშნავს აგრეთვე იმასაც, რომ აქ მათ განსაკუთრებით გერმანელთა ძალებთან აქვსთ საქმე. ხმა პოლანდიიდან, რომ მაკენზენი ეწვია რუსეთის ფრონტსაო, თუ კი ოდნავ სიმართლეს შეიცავს, სწორედ ეხლა უნდა ეღირსოს აღდგენას. შესაძლებელია გერმანელები უკანასკნელ რეზერვების ამოწურვას შეუდგნენ, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ გენერალ ბრუსილოვის ლაშქრობამ სასწაული მოახდინა და ნაადრევად ჯვარი დაუსვა იმას, რასაც მხოლოდ ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ უნდა მიაღწიონ მოკავშირეებმა. არ უნდა დავივიწყოთ გენერალისიმუს ჟოფრის მეტად გაფრთხილებული წინასწარმეტყველება, რომ „ომი იქნება გრძელი, ძნელი და... უეჭველი“. მაშასადამე, წინასწარი აღფრთოვანება სწრაფ წარმატებაზე და უზომო აღფრთოვანება საქმის წაგებაზე მეტად ვნებს მასის რწმენას, მასის შეხედულობას საქმის ვითარებაზე. „სიმართლე, ყოველთვის სიმართლე!“ აი, რა მოითხოვა ფრანგმა ხალხმა ომის დაწყებისას. ეს დევიზი განახორციელა საფრანგეთმა, იგი საიდეალო გახდა ინგლისში და თვით რუსეთმაც საკმაოდ წელში წამოიწია და ყოველი განცდა თამამად დაითმინა მხოლოდ და მხოლოდ თავის წინსვლის დაუფარავი გამოაშკარავებით გალიციის ეპოპეის დროს. ეხლაც არ უნდა დაიმალოს რა. ფაქტების გაცხრილვა, მართალია, სხივმფინარს სურათებს არ გვიშლის, მაგრამ ეს კიდევ საქმის დამარხვას არა ნიშნავს. ამ ფაქტების მიხედვით დავინახეთ, რომ მთელს ვილნო-დვინსკის ხაზს უკვე დიდი მნიშვნელობა მიეცა და, როგორც მოსალოდნელი იყო, აქ ეხსნება კარი დიდს უმაგალითო ომებს. გალიცია და ბუკოვინა, სადაც ავსტრიელნი დაბეჯითებით იბრძვიან და ნელ-ნელ უკან იხევენ, რომ მაშველ ჯარებთან შეერთება მოახერხონ, ამ დიად ომში იმდენს როლს არ თამაშობს და მხოლოდ დამხმარე ხასიათს იღებს დიდ მაშტაბიან ოპერაციის მოსაწყობად, რომელსაც შეუდგნენ გერმანელები კოველის რაიონით. კოველი ხლართია რკინის გზებისა, ამ რაიონით მოჰყავთ გერმანელთ მაშველი ჯარები, ეს გადმოჯგუფება, ცხადია, ჯერ არ არის დასრულებული, მაგრამ რომ საკმაოდ მოუვიდათ ჯარები და ოპერაციის დაწყების შიშიც არა აქვთ, სჩანს იქიდან, რომ ოგინის არხით შეუტიეს. ბრძოლა სასტიკია. შეტევა ჯერაც არ გათავებულა და არც ასე ადვილად გათავდება, როგორც ამას მოელიან ზოგიერთა მოუთმენელი და ბრძოლის გარემოებაში ჩაურეველი და გარედან მაყურებელი უჩვევი თვალი. უნდა ვიფიქროთ, რომ სრული გადმოჯგუფება დასრულდება თუ არა, ამ მიმართულებით ბრძოლა სასტიკს ხასიათს დაიწყებს. შესაძლებელია, ეს ამ ზაფხულის კამპანიის დასაწყისიც იყოს, შესაძლებელია დროებით განცდასთან კიდევ გვქონდეს საქმე, მაგრამ პრელიუდია ამ განცდისა, ამ ოპერაციის დაწყებისა რუსებს ეკუთვნით, პიონერებად ისენი გამოვიდნენ, ბრუსილოვი და კალედინი ლაშქრობით გათამამდნენ და თუ სასურველად ვერ გაავითარეს და ბოლო ვერ მიაღწევინეს, იმ სიკეთეს მაინც მიიღწევს, რომ „მომძმისა თვისა გზის სიძნელე გაუადვილეს“... მართალიცაა. გაჭირვებულ ფრანგებს, ზარმოდებულ ინგლისელებს და შეშფოთებულ იტალელთ იქნებ არასოდეს არ დასჭირებოდეთ მომძმის ასეთი ძმური და საღმრთო მსხვერპლი, როგორიც გაიმეტა რუსეთმა 22 მაისს...

X.

## ომის დეპეშები

**უმაღლეს მთავარსარდლის შტაბისა.**

**პეტროგრადი.** 12 თიბათვე. ოფიციალი. დასავლეთი ასპარეზი. როგის სხვა და სხვა სანგრებს გერმანელებმა ზარბაზნები მკაცრად დაუშინეს. გერმანელთა ძლიერი რაზმი ბაბიტის ტბასთან შეეცადა თხრილებს მოახლოვებოდა, მაგრამ ვერ შესძლო. დვინაზე იაბობტადტის და დვინის მიდამოებში მტრის არტილერიამ მკაცრი სროლა ასტეხა. სადგურ პოლოჩანთან (მოლოდეჩნოს სამხრეთ-დასავლეთით) მტრის მფრინავებმა ოცამდე ყუმბარა ჩამოჰყარეს. ერთი ჩვენი მფრინავთაგანი მტრის არტილერიამ ძირს ჩამოაგდო. მფრინავები შტაბს კაპიტანი ბანეევი და პრაპორშჩიკი, თუმცა დაჭრილები იყვნენ, მაინც შესძლეს ჩვენ თხრილებთან ჩამოშვება. მდ. სტირზე, სამი ვერსის მანძილზე ცმინის სამხრეთით (ჩარტორიისკის მიდამოებში) მოულოდნელად მტრის რედუტს თავს დავესხით და ავიღეთ. დამცველებმა სასტიკი წინააღმდეგობა გაგვიწიეს, მაგრამ სულ ამოვხოცეთ. რედუტში ორი დიდი ყალიბის ზარბაზანი ვიგდეთ ხელთ სოფ. ზატურიცის ჩრდილოეთით მტერი კონტრ-იერიშით დიდი ზარალით უკუ ვაგდეთ. პუსტომიტის ჩრდილოეთით, სვინიუხის სამხრეთ-აღმოსავლეთით მტერმა ჩვენზე იერიში მოიტანა. ჩვენ შეთანხმებული სროლით შევხვდით ისე რომ, მტერი მხოლოდ ზოგიერთ მის მიერვე არტილერიით დანგრეულ ჩვენ თხრილებამდე ძლივს მოვიდა. აქ მტერი ძლიერ დაზარალდა და იძულებული იყო მთელი ბრძოლის ასპარეზზე უკან დაეხია. წამოვიყვანეთ 600 ჯანსაღი ტყვე, ამათში ნახევარი გერმანელია. ხელთ ვიგდეთ 15 ტყვიისმფრქვეველი. თხრილები სავსეა დახოცილი ჯარისკაცებით. რაძვილოვის ჩრდილოეთით, რედკიუვუვის მიდამოებში, ჩვენმა ჯარმა იერიში მიიტანა მტერზე და თხრილების პირველი ხაზი გაარღვია. ამ შეტევის დროს დაიჭრა სასიქადულო პოლკოვნიკი სეჩინი. ამ ადგილში მტერი დიდ წინააღმდეგობას გვიწევს, სადაც მძიმე და სუბუქ არტილერიისათვის მოუქრია თავი. სნიატინის დასავლეთით ჩვენმა ჯარმა წინ წაიწია და სოფლები კილეხიუვი და ტულუპოვი დაიჭირა. 10 თიბათვეს საღამოთი კიდევ დავიპყარით ქ. კიმპოლუნგი. აქ დავატყვევეთ 60 აფიცერი და 2000 ჯარისკაცი, 7 ტყვიისმფრქვეველი წამოვიღეთ. კიმპოლუნგის და კუტტის დაპყრობით მთელი ბუკოვინა ჩვენ ხელში გადმოდის, გამოირკვა, რომ უკან დახევის დროს დავლა დაგვრჩა იცკანის მიდამოებში 88 ცარიელი ვაგონი, 17 ვაგონი სიმინდი, 1 ვაგონი შვრია, 50.000 ფუთი ქვანახშირი და მრავალი სხვა მასალა.

**კავკასიის ასპარეზი.** 11 თიბათვეს პლატანის დასავლეთით ოსმალთა შეტევა მოვიგერიეთ. ამავე დღეს ოსმალებმა გამოგვდევნეს გოსპიდის მონასტრიდან, ჯივიზლიკის მიდამოებში, მაგრამ კონტრიერიშით უკუვაგდეთ. ოსმალთა სხვა იერიშები მოვიგერიეთ. ჯივიზლიკის სამხრეთ აღმოსავლეთისაკენაც ოსმალთა შეტევა მოვიგერიეთ. აქ ხელთ ვიგდეთ ტყვეები და იარაღი.

**პეტროგრადი**, დასავლეთი ასპარეზი. ოფიციალი. გერმანელთა არტილერია მხნედ მოქმედობს იქსკიულის სიმაგრეებთან. ილუქსტის მიდამოებში მოულოდნელად დავესხით თავს მოპირდაპირეთა თხრილებს. მოწინააღმდეგე ჰსცდილობდა კონტრ-იერიშის მოტანას, მაგრამ მალე მოვიგერიეთ. 9 თიბათვეს. გერმანელებმა საარტილერიო ბრძოლა გააჩაღეს ბერეზინის და კიბის მიდამოში. ღამით მოპირდაპირის ქვეითი ჯარი ბერეზინაზე წამოვიდა, მაგრამ მალე დამარცხდა. ტორჩინის დასავლეთით ბრძოლა მძვინვარებს. ზუბილნოს მიდამოებში, გერმანელთა იერიშები მოვიგერიეთ. პუსტომიტის მიდამოებში მტრის არტილერია ჰმოქმედობს. ხანგრძლივ საარტილერიო მზადების შემდეგ, ჩვენ შევიჭერით მოპირდაპირის თხრილებში დავატყვევეთ 4 აფიცერი, 1 ექიმი და 303 მეომარი. პოჩაევის რუდნეზე მოპირდაპირეთა საფრენებმა რამდენიმე ყუმბარა ჩამოჰყარეს. გუშინ დავიჭირეთ ქ. კუტიდონელებმა აქ, გუშინ დაატყვევეს 150 კაცი დავლად 4 ტყვიის მფრქვეველი წამოიღეს.

**კავკასიის ასპარეზი.** ტრაპიზონის მიდამოებში, მადურ-ტეფეს მთის არემარეში. 9 თიბათვეს, განთიადისას, თურქების იერიში მოვიგერიეთ. ჩვენი მფრინავი მამახათუნთან მარჯვეთ მოქმედობდა.

---

**პარიჟი**, 11 თიბათვე. დღის ცნობა. მაასის ორსავ ნაპირზე, ავოკურის ტყის არე მარეში, მორტჰომთან და „304“ მაღლობთან საარტილერიო ბრძოლაა. გერმანელთა იერიში „304“ მაღლობთან მოვიგერიეთ. მაასის მარჯვენა ნაპირზე მთელი ღამის განმავლობაში საშინელი ბრძოლა იყო. მედგარი კონტრ-იერიშით „321“ და „320“ მაღლობებთან ზოგიერთი ადგილები დავიჭირეთ. საშინელი ბრძოლა მოხდა სოფელ გლერის ბოლოში, კონტრ-იერიშით კვლავ დავიბრუნეთ 8 თიბათვეს დაკარგული თხრილები ფიუმენის ტყის და შენუას შუა. არტილერია კვლავ მოქმედობს მაასიდან ვიდრე შენუას აღმოსავლეთ ადგილებამდე. როგორც უკანასკნელის მოხსენებიდან სჩანს, გუშინ მაასის მარჯვენა ნაპირზე 10 დივიზიაზე მეტი მოქმედობდა. ეპარჟთან, გერმანელებმა ააფეთქეს 3 ნაღმი, რომელსაც არავითარი ზარალი არ მოუყენებია.

**პარიჟი**, საღამოს ცნობა. მაასის მარჯვენა ნაპირზე სიმშვიდეა, „304“ მაღლობის მიდამოების გარდა, სადაც გერმანელები მედგრად უშენენ ზარბაზნებს ჩვენს, სიმაგრეთ. მარჯვენა ნაპირზე მოპირდაპირე „321“ სიმაღლესთან ფრაუდტერის მაღლობის ჩრდილო-დასავლეთით მედგრად უშენენ ზარბაზნებს, დილით გერმანელებმა რამდენიმე სახლი დაიჭირეს. მარჯვენა ნაპირის დანაშთენ ადგილებში არავითარი ბრძოლა არ მომხდარა.

**პარიჟი**, 10 თიბათვე. დღის ცნობა, ბელგეთის ასპარეზზე, მთლად გავანადგურეთ გერმანელთა სანგრები. შამპანში გერმანელთა იერიში მოვიგერიეთ. მენილსის გორაკის ჩრდილო-აღმოსავლეთით გერმანელთა მოულოდნელმა თავდასხმამ უშედეგოდ ჩაიარა. ავოკურის ტყეში და მორტჰომთან თოფის სროლაა.

## ქურნალ-გაზეთებიდან

**რუსეთის ასპარეზი.**

რუსები კარპატებისაკენ შეუჩერებლივ წინ იწევენ. ჰფლიანცერის და ბალტინის არმიები დაშორდნენ. ერთი ამათი ნაწილი რუმინეთის საზღვრებისაკენ არის დაწეული და ვიწრო ადგილი უჭერია ხელთ. ამათ ყოველივე კავშირი სხვა ჯართან მოესპოთ. ოგინის არხთან კვლავ მკაცრი ბრძოლაა. ეტყობათ გერმანელები ამ ადგილს დიდ ყურადღებას აქცევენ. აქ მოპირდაპირენი ერთი ერთმანეთს დაუახლოვდნენ. გერმანელები ცდილობენ ჯარები გადაიყვან-გადმოიყვანონ და მით რუსებს მკაცრი წინააღმდეგობა გაუწიონ. გამოირკვა, რომ იტალიის და საფრანგეთის ასპარეზებიდან რუსების წინააღმდეგ მაშველი ჯარი გადმოიყვანეს. ეს იმას მოწმობს, რომ გერმანელები დიდ ყურადღებას აქცევენ რუსების გამარჯვებას. გერმანელები მკაცრ წინააღმდეგობას უწევენ რუსებს და ტყვია წამალს არა ზოგავენ. ახლო მომავალში სულ გამოირკვევა თუ რა სახეს მიიღებს რუსეთის ასპარეზი.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.**

უკანასკნელ ხანებში დიდძალი ჯარი გაიგზავნა აღმოსავლეთის ასპარეზზე. გერმანეთის სამხედრო წრეებში ჰფიქრობენ, რომ ჰინდენბურგი ამ თვის განმავლობაში ეცდება რიგის აღებას. ამგვარად ჰინდენბურგს ჰსურს ავსტრიელები სრულის დამარცხებისგან იხსნას.

**დუბენის მიდამოებში.**

„ბირჟ. ვედ.“ სწერს: ჟიტომირიდან მოსულ ცნობით დუბინის მიდამოებში საშინელი ბრძოლაა. ბრძოლა მეტად მკაცრია; ავსტრია-გერმანელები რუსებს დიდს წინააღმდეგობას უწევენ. რუსებმა უკვე აიღეს მოწინავე სიმაგრეთა ხაზი ([illegible]). მისი დაცვა ავსტრიელებს მეტად ძვირად დაუჯდათ.

**ვერდენის გარშემო.**

ჟურნალ „ქენევში“ პოლკოვნიკი ფეილერი ჰსწერს: „გერმანეთის სამხედრო შტაბს ვერდენთან მიზნად აქვს საფრანგეთის სათადარიგო ჯარის განადგურება. ბრძოლა ჯერ არ შესწყდება და გასტანს არა თუ გაზაფხულს არამედ მთელს შემოდგომასაც კი. საქმის გარემოება იძულებულს ჰყოფს ფრანგებს ვერდენზე ხელი აილონ და ამით გათავდება ომი—ამბობენ გერმანელები.

**საბერძნეთი.**

მოკავშირეთა მიერ ახლად წარდგენილ ულტიმატუმში — მოკავშირენი ათინის კაბინეთისგან არა მარტო სრულ თანხმობას მოითხოვენ, არამედ საბერძნეთის შინაურ საქმეების კანტროლის გაწევასაც.

კანტროლი კი გამოიხატება შემდეგში: მოკავშირენი დაჰნიშნავენ და ამოირჩევენ მაღალ ადმინისტრატიულ პირთ, აგრეთვე თვალს ადევნებენ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებას შინაგან თუ გარეშე პოლიტიკაში.

რა წამს საბერძნეთი ულტიმატუმს დააკმაყოფილებს, მაშინვე განთავისუფლდება საბერძნეთი გარემოცვისგან და გარდა ამისა, მას მოკავშირე სახელმწიფოები ფულით დიდს შემწეობას აღმოუჩენენ.

მოკავშირეთა ულტიმატუმში განსაზღრული არ არის ვადა თუ, როდის უნდა შესრულდეს მათი მოთხოვნილება, თუ საბერძნეთი ულტიმატუმს უარყოფს მაშინ საბერძნეთში ახმაურდება ზარბაზნები.

6 თიბათვეს, სკუდულისი ორჯელ იყო სათათბიროდ მეფესთან. ადგილობრივ პოლიტიკურ წრეებში ჰფიქრობენ, რომ ახალი კოლექტიური გამოსვლა ოთხთა კავშირისა—ათინაში ამ დღეებში მოხდება. პოლიტიკური მდგომარეობა დამძიმდა. საბერძნეთის საბედისწერო საათმა უკვე დაჰკრა.

შინაგან საქმეთა მინისტრი ჰუნარისი, თესალიაში მიდის ხალხის საჭიროების გამოსარკვევად.

მეფის ოჯახობა საზაფხულოდ დექელიის ციხე დარბაზში გადავიდა. ათინიდან 50 ვერსის მოშორებით (ჩრდილო-აღმოსავლეთით). ადგილობრივ გაზეთების სიტყვით თესალიაში პურის მოსავალი 2.800.000 კილოგრამს აღწევს.

**ბულგარელები საბერძნეთში**

ქსანტეს არე-მარეში, მდ. ნესტოსის ნაპირებზე ბულგარელები წინ მიიწევისიანებიდგანაც ზოგიერთნი გადუდგნენ, ამბოხება მოახდინეს და მეფედ სვიმონის ბიძაშვილის თეიმურაზის წამოსკუპება განიძრახეს. მოხერხებული და გამჭრიახი მეფე არ დაიბნა, მთებში ლტოლვილი ყოველ თავისს მოწინააღმდეგეს და მეამბოხის ცალ-ცალკე დამარცხებას შეუდგა. სწორედ ასეთს გაჭირვებაში და გარემოებაში ჩავარდნილი მეფე სვიმონი მიჰმართავს რუსეთს და შველა-დახმარებასა სთხოვს, რისთვისაც განსაკუთრებულს ელჩებს ჰგზავნის რუსეთში.

# ერეკლე მეფე და გრაფი ტოტლებენი

(ისტორიული ამბავი რუს-ქართველთა დამოკიდებულებიდგან)

**შესავალი.**

მეტად ღირსშესანიშნავია შარავანდედ მოსილ გმირ მეფე ერეკლეს ხანგრძლივი მეფობა საქართველოს ისტორიაში. ეს იყო ხანა საქართველოს აღორძინებისა, განახლებისა და განსპეტაკებისა. საქართველომ პოლიტიკურად ძალა მოითქვა, გაძლიერდა, გალონიერდა და ეხლა მის სკიპტრის ქვეშ იყო ქართლ-კახეთის გარდა განჯა-ერევნის სახანოებიც. შორს იყო გავარდნილი ხმა საქართველოს ძლიერება-გმირობისა და ყველა მეზობლები შიშითა თრთოდნენ და მოწიწებით თავს უხრიდნენ. ამასთანავე ერთად გაძლიერდა საკულტურო-საგანმანათლებლო მუშაობა საქართველოში, რომელსაც სათავეში უდგა დიდებული იერარქი საქართველოს ეკლესიისა ანტონი პირველი ქათალიკოსი, რომლის მეცადინეობით იხსნება ორი სასულიერო სემინარია და სხვა მრავალი სასწავლებელნი, რომლებშიაც თანამედროვე სწავლა - განათლება სდუღს და გადმოდის. ყველაფერს და ყოველივეს ახალი სული ედგმებოდა, თითქმის დიდის ხნის ძილისგან ეხლა ერკვეოდა და ფენიქსებრ ახლდებოდა თვით მეფის კურთხევაც კი, რომელიც დიდის ხნით მივიწყებული იყო ეხლა გაიხსენეს და დიდის ბრწყინვალებით და ზეიმით აკურთხეს და მირონი სცხეს მცხეთის საქათალიკოსო ტაძარში მეფეს.

მაგრამ საუბედუროთ ყველა ეს თითქოს უკანასკნელი ამოძახილი იყო ბედკრულის საქართველოსი, მრავალტანჯული და დიდის ხნით დაავადებული სული მოითქვა თითქოს განგებ იმისთვის, რომ კვლავ დაცემულიყო და დაცემულიყო ისე, რომ სრულიად დაჰკარგოდა და მოსპობოდა პოლიტიკური თვით არსება. ამ უკანასკნელს გაბრძოლებაში, ამ უკანასკნელს სულის კვეთებაში, როცა განახლებისა და აღორძინების გზაზედ დამდგარი საქართველო უეცრივ თოფნაკრავი ფრინველისავით საჩქაროდ ეცემა და ესალმება პოლიტიკურს თვით არსებობას, ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება, რომელმაც ასე თუ ისე ხელი შეუწყო საქართველოს თჭით არსებობის მოსპობას. ეს გარემოება გახლავთ პირველი რუსეთის მხედრობის შემოსვლა საქართველოში გენერალის ტოტლებენის წინამძღოლობით. ჩვენ გვინდა ამ საბედისწერო მხედრობის ისტორია მოუთხროთ მკითხველს, იმ წყაროების და მასალების მიხედვით რომელნიც დღემდის გამოქვეყნებულნი არიან და უმთავრესად კი ფრიად შესანიშნავის მასალებისა, რომელნიც შეკრებილნი არიან პატივცემულის პროფესორის ცაგარლისაგან „ღრამოტებისა და სხვა ისტორიული საბუთების“ სახით.

I

**ოსმალეთის ომი და ქართველ მეფეების მოწოდება**

1768 წელს ასტყდა რუს-ოსმალეთის ომი. რუსეთი აღარაფერს ძალღონეს აღარა ზოგავდა და არავითარს საშუალებას ერიდებოდა, რომ სანაქებოდ მოეწყო საქმე, ფართოდ აემოქმედებინა და აემოძრავებინა ყოველივე და ყველაფერი და ერთხელ და სამუდამოდ ჩოქის თავზედ დაეცა მოწინააღმდეგე და ძალ-ღონე წაერთმია ომის კვალად განმეორებისათვის. ამიტომ ომის გამოცხადების გამო გამართულს თათბირში გადაწყვეტილი იყო რაც შეიძლება ბევრნი ხალხნი და ეროვნებანი მიემხროთ და მონაწილეობა მიეღებინებინათ ომში. გადაწყვეტილი იყო მიემართნათ ყველა იმ ქრისტიან ეროვნებათათვის, ვისაც ასე თუ ისე დამოკიდებულება ჰქონდათ ოსმალეთთან, ან მათს მძიმე უღელს განიცდიდნენ, რომ საერთო საქრისტიანოს მტერს მუსულმანობას შებმოდნენ და დაემარცხებინათ მისი ძლიერება და მით ერთხელ და სამუდამოდ განეთავისუფლებინათ მისგან მრავალ გზით წამებული ქრისტიანობა. ამის გამო აღფრთოვანებულის მოწოდებით მიჰმართეს ბალკანეთის სლავიანებს, ბერძნებს, მთაშაველებს, ქართველებს და სხვათა და სხვათა. განსაკუთრებით დიდი იმედი ჰქონდათ მიპყრობილი მთაშაველთზედ, რადგანაც განზრახული იყო ხმელთაშუა ზღვაში შეჭრა და მთაშაველთში დესანტის გადასხმა და საქართველოზედ, სადაც შავის ზღვის სანაპიროებზედ მძლავრის ნავთსადგურის მოპოვება სურდათ და აქედგან ოსმალეთში შესევა და აოხრება.

საუბედუროთ რუსეთის მხურვალე მოწოდებამ და ღაღადისმა საერთო საქრისტიანო მტერთან შებმისამ ვერაფერი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა და ვერავინ ვერ აახმაურა და მონაწილეობა ვერ მიაღებინა ამ ორ მდევის ჭიდილში, ყველა განზედ გადგა და გარეშე მაცქერალის როლით დაკმაყოფილდა. არც ბალკანეთის სლავიანობა, არც საბერძნეთი, რომელნიც ოსმალეთის მუხრუჭში იყვნენ მომწყვდეულნი, ერთი მცირე გამოძახილითაც კი ვერ მისცეს პასუხი რუსეთის მოწოდებას, რომელიც მთელი მართლ-მადიდებელი საქრისტიანოს მფარველად ითვლებოდა. თითქოს განგებ შეჰკრეს პირობა, ყველანი ნდუმარებდნენ. საერთო დისონანსი მარტო და საქართველომ დაარღვია. მარტო მან გასცა პასუხი და იშიშვლა ხმალი რუსეთის დასახმარებლად. ქართველობამ დიდის სიამოვნებით გაუწოდა ხელი ჩრდილოეთის ძლევა-მოსილს ხელმწიფეს და აღუთქვეს ყოველივე დახმარება და მონაწილეობის მიღება ომში.

იმ ჟამად ქართლ-კახეთში მეფობდა ერეკლე, პატარა კახად წოდებული, რომელიც სრულიად დამოუკიდებლად განაგებდა სამეფოს და რომელიც იმ დროს უკვე სახელ მოხვეჭილი და დიდებულ მეფედ ითვლებოდა მთელს კავკასიაში და რომლის გამბედაობა და გმირობა-ძლევა-მოსილება სანუკვარ საგნად ჰქონდათ თვით ევროპის მეფეთაც კი და მის სახელით ფრიდრიხ დიდი ამხნევებდა თავისს ჯარებს ბრძოლის დროს. რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე დიდი ფოლტეხისადმი მიწერილს წერილებში ქებით იხსენებდა ერეკლეს და სთვლიდა მას გონიერად, მამაცად და უძლიერესად კავკასიის მეფეთა შორის. ერეკლე მაშინ თავისს ძლიერების უმწვერვალესს საფეხურზედ იდგა. მის საბრძანებელს ეხლა ქართლ-კახეთის გარდა, განჯა-ერევანიც შეადგენდა, რომელნიც კარგა დიდს ხარკს აძლევდნენ ყოველწლივ ერეკლეს. მაგრამ ერთი რამ გულს უკლავდა და არ ასვენებდა ერეკლეს. იმ დროს როცა მეფემ სხვათა სახანოები შემოიერთა საქართველოს, საკუთარი მისი მიწა-წყალი, დიდებული მესხეთი, ჯერ ისევ სხვათა საკუთრებას შეადგენდა და სხვათა მონობას განიცდიდა, ჯერ კიდევ იმდენი ვერ ელონა და მოეხერხებინა, რომ ძლიერი ოსმალეთისათვის წარეგლიჯა ეს პირმშო შვილი და ტურფა წალკოტი საქართველოსი, ეს უპირველესი აკვანი ქართველთა ნივთიერად და სულიერად ამაღლებისა, რომლის ოქროს ხანაც ყოველის ქართველის გულში სხივლის ასოებით იყო აღბეჭდილი. აი ამ აკვნის ტყვეობა უკლავდა მას გულს, მასზედ ოცნებობდა იგი და ისე ჩავიდა საფლავში ეს დიდებული მეფე, რომ ზრახვანი მისნი აუსრულებელნი დარჩნენ.

ასეთს ყოფაში იყო ქართლ-კახეთი. სულ სხვა სურათს წარმოადგენდა იმერეთი. აქა მეფობდა სოლომონ პირველი დიდად წოდებული, რომელიც იმ დროს როცა რუს-ოსმალეთის ომი ასტყდა, დიდს გაჭირვებას განიცდიდა.

ამ სახელოვანის მეფის ტახტზედ ასვლის დროს, იმერეთი ოსმალეთის სათარეშო ბუდეთ იყო გადაქცეული, ყველგან დაძრწოდნენ ოსმალები და კალიასავით იყვნენ მოდებულნი. მათს სასარგებლოთ იმერეთი სამარცხვინო ხარკს იხდიდა, რომელიც იმაში მდგომარეობდა რომ იმერეთს ყოველწლივ გადაწყვეტილი რიცხვი წლოვანი ქალ-ვაჟთა უნდა ეძლია ოსმალებისთვის. სვიმონმა იმითი დაიწყო, რომ სასულიერო პირებმა კრება გამართეს, რომელთაც მისი რჩევა-ბრძანებით უარი შეუთვალეს ოსმალეთს ასეთს ხარკის ძლევაზედ და საზოგადოთ სასტიკათ აჰკრძალეს მცხოვრებთა ტყვეთ გაყიდვა, რაიც ისე გავრცელებული იყო იმ ჟამად იმერეთში. ოსმალეთმა იწყინა სვიმონის უარი და ისიც იძულებული იყო ხმლით ხელში გაეცა პასუხი ოსმალეთისთვის. დიდხანს ებრძოლა გმირი მეფე ერთი მუჭა იმერეთის ჯარით ოსმალებს და მთელის 12 წლის განმავლობაში მოსვენებას და ძილს არ აძლევდა მათ. ხშირად ბევრს ზიანს აძლევდა ოსმალებს და თანდათანობით აძევებდა თავის სამფლობელოდან. ამ მუდმივი ომების დროს გაქცეული და ძალგამოლეული სვმონ მიჰმართავდა ხოლმე საშველად ჩრდილოეთის ბრძანებელს, მაგრამ რუსეთს არა სურდა ოსმალეთისადმი იმერეთის გამო უსიამოვნების ჩამოგდება და ამიტომ სვიმონის ხმა მუდამ რჩებოდა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა. მაგრამ არა ცხრებოდა მეფე და გულგამეხებით სამკვდრო-სასიცოცხლოთ ებრძოდა ოსმალეთს. ბოლოს არაქათ გამოლეულს და სისხლით დაცლილს კინაღამ შუაზედ გადაუტყდა ხმალი, თავისიანებიდგანაც ზოგიერთნი გადუდგნენ, ამბოხება მოახდინეს და მეფედ სვიმონის ბიძაშვილის თეიმურაზის წამოსკუპება განიძრახეს. მოხერხებული და გამჭრიახი მეფე არ დაიბნა, მთებში ლტოლვილი ყოველ თავისს მოწინააღმდეგეს და მეამბოხის ცალ-ცალკე დამარცხებას შეუდგა. სწორედ ასეთს გაჭირვებაში და გარემოებაში ჩავარდნილი მეფე სვიმონი მიჰმართავს რუსეთს და შველა-დახმარებასა სთხოვს, რისთვისაც განსაკუთრებულს ელჩებს ჰგზავნის რუსეთში.

აი ასეთს მდგომარეობაში იყო მაშინდელი საქართველო ერთს თვალის გადავლებით, როცა რუსეთმა ოსმალეთს ომი გამოუცხადა და საქართველოს ჩაბმაც განიზრახა ამ ომში. თათბირში, რომელიც ამის გამო მოხდა და რომელსაც თვით იმპერატორიც დაესწრო ის აზრი გამოითქვა, რომ ყოველი ღონე ეხმარნათ საქართველოს ჩასაბმელათ ოსმალეთთან ბრძოლაში და კავკასიის მხრიდამაც ომი დაეწყოთ ოსმალეთისათვის. მაშინ ოსმალეთი იძულებული იქნებოდა მთავარი ასპარეზით ჯარი შეესუსტებინა და კავკასიისკენ გაეგზავნა. იმერეთის მეფის დახმარების იმედი ეჭვს გარეშე იყო, რადგანაც იგი თითონაც არაერთგზით სთხოვდა დახმარება-შველასა და ჯარს ოსმალეთთან საბრძოლველად და ეხლა როცა თვით რუსეთი უცხადებდა ბრძოლას, იმერეთი ძალას დაუყენებდა და არ გაერეოდა ამ ომში. საეჭვოდ და სათუოდ მიაჩნდათ ქართლ-კახეთის მეფე ერეკლეს მონაწილეობის მიღება, რადგანაც იგი საკმარისად ძლიერი იყო და კარგს განწყობილებაშიც იყო ოსმალეთთან. რუსეთმა მისი მიმხრობა სვიმონ მეფეს მიანდო და ამასთანავე გამოსთქვა ის აზრი, რომ „ქართველებში საზოგადოდ ძლიერია მართლ-მადიდებელ სარწმუნოებრივი მიდრეკილებაო“ და არ შეიძლება ერეკლეც არ ჩაერიოს ომშიო.

(შემდეგი იქნება)

ვენ. ბულგარელები წინ მიდიან ფლორინა-ჰევგველის შუა ადგილებშიაც.

**არაბეთის განცალკევება.**

„რუსკია ვედომოსტის“ ატყობინებენ: მექის დიდმა შერიფმა სრულიად დამოუკიდებლად გამოაცხადა არაბეთი. არაბთა ზოგიერთ თემების შემწეობით, მან ოსმალეთს ომი გამოუცხადა. შერიფის ჯარებმა უკვე აიღეს მექა, ჯედუ და ტაიფი. მედინას ალყა შემოარტყეს.

**საბერძნეთი**

საბერძნეთის ჯარის უფროსებს თავიანთ მთავრობისაგან საიდუმლო მიწერილობა მიუვიდათ, სადაც ნაბრძანებია ბულგარელებს დაანებეთ ყველა ის სიმაგრეები, რომლებსაც კი მოითხოვენო.

**გაზეთების გაძვირება**

პეტროგრადის ყველა გაზეთი თითო კაპეიკით გააძვირეს.

**სამხედრო მიმომხილველთა აზრი**

ზოგიერთი ბრძოლის მიმომხილველი დაბეჯითებით ირწმუნება, საერთაშორისო ომის ბედი უნგრეთის ასპარეზზე გადასწყდებაო.

**ბულგარელები**

ბულგარელებმა ალბანეთის ყველა პოზიციები მიატოვეს.

**გერმანელების ჯარი**

როგორც ჟენევიდან იტყობინებიან ვოლინის ჩრდილოეთ ნაწილში გერმანეთის მთავარ შტაბს ჯარი გადაუყვანია: ბელგიიდან 35 ათასი; ელზასის სამხრეთ ნაწილიდან—20 ათასი; გროდნოს ასპარეზიდან 30 ათასი, კენიგსბერგიდან 10 ათასი და სხვა ნაწილებიდან სულ 100 ათასი მეომარი. როგორც გაზეთი იუწყება ამ ჯარს კიდევ ორს კორპუსს მიუმატებენ.

**საუბარი ესპანეთის პრემიერ—მინისტრთან.**

ავსტრია-ჰუნგრეთში დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ესპანეთის პრემიერ-მინისტრის საუბარს ჰუნგრელ გაზეთის „აც. ესტი“-ს კორესპონდენტთან: ნეიტრალობის შესახებ, რომანონესმა განაცხადა, რომ მეფის სურვილით ესპანეთი ბოლო დრომდე დაიცავს სასტიკ ნეიტრალობას და მეგობრულ განწყობილებას ყველა მებრძოლ სახელმწიფოებისადმი. რაც შეეხება გერმანეთის წყალქვეშათაგან მოყენებულ ზარალს, ესპანეთი მოითხოვს, რომ იგი კვლავ აღარ განმეორდეს. შემდეგ პრემიერმა განაცხადა: „ვიმეორებ იმასვე, რაც სთქვა მეფემ: ჩვენ გვწყურიან ომის დასრულება, თუმცა დარწმუნებული ვართ ჯერ არ მოახლოვებულა ზავის დრო. როცა კი დადგება ჟამი, ესპანეთი დიდის სიხარულით იკისრებს შუამავლობას მებრძოლ სახელმწიფოთა შორის.

**ავსტრიის თხოვნა**

„დაგ ნიტერ“-ს ატყობინებენ: ავსტრო-ჰუნგრეთის მთავრობამ მიჰმართა შვეციას, რათა ჩაერიოს მისს საქმეებში და ავსტრია-იტალიას შორის სეპარატიული ზავი ჩამოაგდოს. როგორც ამბობენ: შვეციის დიპლომატს ავსტრიის თხოვნა დროს შეუფერებლად მიუჩნევია.

# დეპეშები

(პეტრ. სააგენტოს დეპეშები)

**რუსეთის ასპარეზზე ბერეზინასთან საარტილერიო ბრძოლაა. ამ ადგილას გერმანელებმა ყველა ყალიბის ზარბაზნები აამოქმედეს.**

—

**რიგის ბრძოლის ხაზზე გერმანელებმა მკაცრი საარტილეო ბრძოლა გააჩაღეს.**

—

**რუსებმა ქ. კიმპოლუნგის აღების დროს 60 აფიცერი და 2000 ჯარის კაცი.**

—

**კავკასიის ასპარეზზე რუსები ოსმალთა იერიშებს იგერიებენ.**

—

**ვერდენთან, მაასის ორთავ ნაპირებზე მკაცრი საარტილერიო ბრძოლაა.**

—

**გერმანელები უტევენ „321“ მაღლობს.**

—

**ავაკურის ტყესთან, მორტჰომთან და „304“ მაღლობთან საარტილერიო ბრძოლაა.**

—

**მექის დიდმა შერიფმა არაბეთის დამოუკიდებლობა გამოაცხადა. აიღეს მექა, ჯედა და ტაითი, მედინას ალყა შემოარტყეს.**

—

**ათინაში ოფიციალი დეკრეტის ძალით საპარლამენტო ხესია დაიხურება. პირველად გამოაქვეყნებენ დეკრეტს დემობილიზაციის შესახებ. მოკავშირეთა ელჩებმა პირველად ინახულეს ზაიმისი. პრესა ახალ კაბინეტს ნდობით შეხვდა.**

# ახალი ამბავი

✦ კვირას, 12 თიბათვეს, დიდუბის ეკლესიაში გადახდილ იყო ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ ირ. ევდოშვილის სულის მოსახსენებლად. დეკანოზმა ი. მირიანაშვილმა შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა. განსვენებულის სამარე თბილ. საბალონო სასწავლებლის მოწაფეებს ყვავილებით მოერთოთ.

✦ **მგოსან ირ. ევდოშვილის** დამკრძალავ ბიუროს სალიკვიდაციო კრება მოხდება 16 თიბათვეს საღამოს 7 საათ. „ნაკადულის“ რედაქციაში. რადგანაც ბიუროს ხაზინადარს ბ. ივ. ზედგინიძეს რუსეთში წასვლა აღარ მოუხდა, ბიუროს ხაზინადრობას კვლავ განაგრძობს. დაწვრილებითი ანგარიში ბიუროსი ამ კრების შემდეგ გამოქვეყნდება.

✦ **ქალაქის თვითმართველობაში.** ქალაქის საბჭოს უმახლობელეს კრებაზე არჩეულ უნდა იქმნას ქალაქის მოურავის მოადგილე.

✦ **უწმ. სინოდმა** გადასდო ბოდბის მონასტრისათვის 1500 მანეთი, ხუჯაბის მონასტრისათვის 500 მანეთი და თეკლათისა—1000 მანეთი.

✦ **ეპ. კირიონის ეპარქიის.** პოლოცქისა და ვიტებსკის სარევიზიოდ როგორც გავიგეთ უწმ. სინოდის მიერ დანიშნულ იქმნენ სახელმწიფო საბჭოს წევრი ნიჟეგოროდის ეპარქიის ეპ. არსენი სინოდალურ მოხელეებთან ერთად.

✦ **თბილისში ჩამოვიდა** მეფის ნაცვლის საბჭოს წევრად დანიშნული, ნაცვლად მეიდენბაუმისა ფ. ა. ლიზოგუბი და თვის თანამდებობის აღსრულებას შეუდგა.

✦ **კავკასიის მუზეუმის** მთავარი მოლარე გ. ფ. ჩურსინი საეტნოგრაფიო მასალის შესაგროვებლად გამგზავრა ჩეჩენთა და დაღესტნის ოლქში. მასვე დაევალა სამკურნალო მცენარეულობათა შეგროვება ამ ოლქებში.

✦ **მოსავლის ნიშნები.** როგორც სოფლის მცოდნე პირები გადმოგვცემენ, ქართლში და დასავლეთ საქართველოს ბევრს ადგილას ჰირნახულის მოსავალს კარგი პირი უჩანს.

✦ **სახინოდო კანტორის სხდომები** 2 ივნის შესწყდა ვიდრე 10 ენკენისთვემდე.

✦ **სამრევლო სკოლების** მასწავლებელთ უწმ. სინოდის განკარგულებით დეენიშნათ საკვებ ფულად თვეში 5 მანეთი.

✦ **საკოოპერაციო საქმე.** 11 თიბათვეს კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებაში ამავე საზოგადოების საკოოპერაციო ბიუროს ინსტრუქტორმა ბ-ნმა ქ. კანდელაკმა მოხსენება წაიკითხა ბიუროს სამოქმედო გეგმის შესახებ. მომხსენებლის აზრით: 1) ბიურო უნდა შეეცადოს მოაწყოს სარაიონო ორგანიზაციები კოოპერატივებისა, 2) ბიურომ უნდა მოაწყოს რჩევა-დარიგების საქმე კოოპერატივებისათვის სიტყვიერად და წერილობით, 3) უნდა მოაწყოს აგრეთვე სარევიზიო კომიტეტები, რომელთაც დაევალებათ რევიზია გაუკეთონ კოოპერატივებს, 4) უნდა მოეწყოს ყოველგვარი დახმარების ხელმძღვანელობა კოოპერატივებისათვის და 5) ინსტრუქტორებმა უნდა იმოქმედონ შეთანხმებით.

✦ **მეფუტკრეთა საზოგადოების** უკანასკნელ კრებაზე დაადგინეს გორამაზრის მეფუტკრეობის მხრივ გამოსაკვლევად გაიგზავნოს ინსტრუქტორი ე. ქ. გოგებაშვილი.

✦ **დიდი სახალხო სეირნობა** რომელიც „ედემის“ ბაღში უნდა გამართულიყო კვირას 12 თიბათვეს ქართველ ქალთა საზოგადოების ღონისძიებათა გასაძლიერებლად არ შესდგა.

✦ **ექსკურსია.** კვირას 12 თიბათვეს მ. ჯანაშვილის ხელმძღვანელობით მცხეთის სიძველენი დაათვალიერეს სახალხო მასწავლებელთა ყრილობის წევრთ. ექსკურსანტები იმავე დღეს დაბრუნდნენ თბილისს.

✦ **მიემგზავრება** თვის ეპარქიაში ყ.-დ სამღვ. ანტონი ეპ. გორისა ამ თვის ბოლოს.

✦ **ვოლგა-კამის ბანკის** შენობა (ლორის-მელიქოვის ქუჩაზე თავად-აზნაურთა ბანკის შენობის გვერდით), კვირას 12 ივნისს დიდის ამბით აკურთხეს.

✦ **წყლის საყვანებიდან** ქალაქის გამგეობის განკარგულებით კვირაუქმე დღეებშიაც მიეცემათ მცხოვრებთ წყალი.

✦ **მასწავლებელთა თათბირი.** 12 თიბათვეს სახალხო სკოლების ქართველ მასწავლებლებს კერძო თათბირი ჰქონდათ რუსული ენის სწავლების შესახებ ქართულ სკოლებში. როგორც თათბირზე გამოირკვა, თბილისის ქალაქის ბევრი სკოლიდან სავსებით განუდევნიათ იაკ. გოგებაშვილის სახელმძღვანელო—„რუსკოე სლოვო“, რიიცა სამწუხარო მოვლენად იქმნა აღიარებული.

✦ **დაჭრილ** იქმნა ბრძოლის ველზე პოდპორუჩიკი ანდრია ლეონიდის ძე მიქაბერიძე.

✦ **ილ. ქურხული.** თბილისში ჩამოვიდა ხალხში მოსიარულე ჩვენი მემუსიკე ბ-ნი ილიკო ქურხული. როგორც გავიგეთ, მას განზრახვა აქვს ახალ კლუბში წაიკითხოს „საკუთარი შთაბეჭდილებანი მოსიარულე მემუსიკისა“. ამ რამდენიმე დღის წინად შემოუვლია ნაძალადევი, ეზოებში ხალხისთვის მუსიკა მოუსმენინებია. ბ-ნ ილიკო ქურხულს განზრახვა აქვს შემოიაროს თბილისის ყველა უბნები და ხალხს გააცნოს კლასიკური მუსიკალური ნაწარმოებნი.

✦ **ქველმოქმედთა საგულისხმოდ.** ავჭალის მისახვევში (№ 12) სცხოვრობს მეტად ხელმოკლე **ქვრივი ანნა კოროშვილისა.** მისი უფროსი ვაჟი ომშია, უმცროსი ლოგინად არის ჩავარდნილი. უკიდურეს მდგომარეობაშია ეს ოჯახი, დახმარება უნდა მიაწოდონ ზემოხსენებულის მისამართით.

✦ **შეწირულება.** ვოლგა-კამის თბილისის განყოფილებამ შესწირა ქალაქის თვითმართველობას 1.000 მან. ომისაგან დაზარალებულთა საჭიროებისათვის.

**თელავი.**

5 თიბათვეს თუთიდგან ჩამოვარდა გიორგი უთმელიძე, 16 წლისა, საფეთქელი დაჰკრა ქვაზედ და მაშინვე გარდაიცვალა.

— 21 თიბათვეს ივ. ევსტაფიევი ჰმართავს დიდ სახალხო სეირნობას, ბაზრით და სხვა და სხვა გასართობებით. წმინდა მოგებიდან 10% გადაიდება დაჭრილ მეომართა სასარგებლოთ, დანარჩენი გადაეცემა თელავის ქართველთა საზოგადო სამკითხველოს.

— 7 თიბათვეს თელავის კოოპერატივმა მიიღო 4 ვაგონი ფქვილი ეკატერინოდარიდგან გამოგზავნილი.

— ეს ორი კვირაა, თელავის მეპურენი თეთრ პურს აღარ აცხობენ და მის ბადლათ შავი ტალახის მსგავს დამწარებულს აშმორებულ პურით გვიმასპინძლდებიან გირვანქას 7 კაპიკად.

# უწყლობა თბილისში

არის ხანდახან ცხოვრებაში ისეთი საგანი, რომელსაც ნაკლებ ყურადღებას აქცევენ და მეორე ხარისხოვანად სთვლიან, მაგრამ სინამდვილეში კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მინდა მოგელაპარაკოთ წყლის უქონლობის შესახებ. ყველაზე ძნელი ასატანი, გარდა პურისა, წყლის უქონლობა არის, ისიც იმ დროს, როდესაც ძველებურს საშუალებებს მოკლებულია ხალხი, როგორიც მაგალითად იყო ბოჭკებითა და თულუხებით წყლის ზიდვა. ყველაფერში და ყველაფრისთვის საჭიროა წყალი. წყლით უნდა მოხარშოთ კერძი, წყლით უნდა მოზილოთ პური, წყლით უნდა გაასუფთაოთ ეზო და დაიცვათ სისუფთავე, წყლით უნდა მოირწყოს ქუჩები, რომ ჰაერი გაასუფთაოს და ხალხს ააცდინოს თავიდან სხვა და სხვა გვარი გადამდები სენი. ყველა ეს კარგად უნდა მოეხსენებოდეთ ჩვენს უკიდურეს დემოკრატიულს და ხალხისათვის თავდადებულთ ქალაქის მამებს!

ეს უკიდურესი დემოკრატი მამები იმდენად დაინტერესებულები არიან ხალხის ჰირვარამით, რომ მცხოვრებნი ამ მოკლე ხანში ან წყურვილით დაჰლევენ სულს, ან ხოლერა ამოულეტავს და ან გადიბუგებიან უწყლობის გამო, რადგან, თუ არ ვიანგარიშებთ იმ უკიდურეს დემოკრატების ბუნაგს—„სოლოლაკს“, სადაც ისინი განისვენებენ, დანარჩენს უბნებში—შუაბაზარში, ანდრეევის ქუჩაზე, ვერის დაღმართზე, ალექსანდროვის, ნიკოლაევის, წყნეთისა და სხვა და სხვა უბნებში დილის 7 საათიდან მოყოლებული ღამის 2 საათამდის წვეთი წყალი არ მოდის და მცხოვრებნი უკიდურეს გაჭირვებას განიცდიან! თან სახლის პატრონნი შიშში არიან, რადგან შეიძლება უწყლობის გამო სისუფთავე ვერ დაიცვან და ერთს მშვენიერს დღეს ბოქაულმა ოქმი შეუდგინოს. ახლა, წარმოიდგინეთ, უეცრად ცეცხლი წაეკიდა რამეს. რით გინდათ ჩააქროთ? ხომ სომხები ღებულობენ ჩვენი მშრომელი ხალხისა და გლეხებისათვის ჯვარცმული „დემოკრატი ქალაქის“ მამები, ეს როგორ ხდება, რომ სოლოლაკს წყალი ყოველთვის ეშოვნება და დანარჩენ უბნებს კი არა?

სოლოლაკი ხომ უფრო მაღლობზეა და წყლის აუზის ძალა იქ უფრო ნაკლები უნდა იყოს.

დღესაც გვინდა შევეკითხოთ, როგორც ერთუფლებიანი მოქალაქენი ჩვენს დემოკრატ მამებს, თუ რა მიზეზია, რომ სოლოლაკლებისთვის წყალი ულეველია, რითაც რწყავენ ბაღჩებს, ბაღებს და ქუჩებს და სხვა განაპირა ქუჩები კი მტვერით არის სავსე და ხალხიც ლამის არის წყურვილმა დაახრჩოს?

რით დაიმსახურეს ასეთი უყურადღებობა განაპირა უბნებმა? რა პასუხს აძლევენ ხალხს, რომელსაც ამ უწყლობის და უსუფთაობის გამო შეიძლება სენი მოედოს?

ერთი მოქალაქეთაგანი

ი. ი. გ—ანი.

# პროფ. ივ. ჯავახიშვილის ლექცია

12 თიბათვეს პრ. ივ. ჯავახიშვილმა „ახალი კლუბის“ დარბაზში ლექცია წაიკითხა ქართულ საეკლესიო ხუროთმოძღვრების შესახებ. ლექცია მრავალ მხრივ დიდმნიშვნელოვანი იყო და დიდძალი საზოგადოებაც მიიზიდა.

ბ-ნმა ჯავახიშვილმა განიხილა ყველა ის მასალები, რომლებიც მასალად უნდა დაედვას ქართულ ხელოვნების ისტორიის შესწავლას. ლექტორმა თავისი მოხსენება დაიწყო საეკლესიო ხუროთმოძღვრებიდან. მისის აზრით ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება, გეგმის მიხედვით, გაიყოფება 5 ნაწილად. ყველა გეგმის ნიმუშები ლექტორმა აჩვენა საზოგადოებას ეკრანზე.

ლექტორის აზრით, ქართულ საეკლესიო ხუროთმოძღვრების დიადი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ მასში მარტივად გამოიხატება ჰარმონია ანუ მთლიანობა. საყურადღებო არის ლექტორის შემდეგი განცხადება: იმ დროს, როდესაც სომხების ხუროთმოძღვრებაზე დიდი ზედგავლენა იქონია არაბთა და სპარსთა ხუროთმოძღვრებამ, ქართულმა ხუროთმოძღვრებამ თავისებურობა ბოლომდის მთლიანად შეინარჩუნა.

ლექტორმა გვიჩვენა ისეთი ნიმუშები ქანდაკებისა, რომლებმაც საზოგადოება გააოცა. შეიძლება ბევრმა არც კი იცოდა, რომ ქართული ქანდაკება ძველად ასეთ მაღალ წერტილზე იყო მიხწეული.

მხატვრობის შესახებ პატივცემულმა პროფესორმა განაცხადა: წარსულში ჩვენი მხატვრობა უმაღლეს წერტილამდე იყო მიხწეული. მართალია, დიდძალი მხატვრობა დაიღუპა, მაგრამ კიდევ ბევრია დარჩენილი, რომელიც ნათლად ამტკიცებს ჩვენს აზრსაო. სამწუხაროდ, როგორც ლექტორმა აღნიშნა, არ არის გამოკვლეული ფერადობა მხატვრობისა, ე. ი. ჯერ კიდევ არ ვიცით, თუ რა და რა ფერები იყო განსაკუთრებით მიღებული ჩვენ ძველ მხატვრების მიერ. აგრეთვე არ ვიცით, თუ რა გავლენა იქონია ჩვენს მხატვრებზე ბიზანტიის მხატვრობამ. ლექტორმა მხატვრობის რამდენიმე ნიმუში გვიჩვენა ეკრანზე.

დიდად საგულისხმო იყო ლექციის განყოფილება, სადაც ლექტორმა დაწვრილებით აღწერა ქართული ტანთსაცმლის ისტორია, ძველად, თურმე, ყველა ქართველ გრძელ სახელოებიან წამოსასხმელს ატარებდა, არავითარ იარაღის ტარება იმ დროს ქართველები ჩვეულნი არ იყვნენ. ტან საცმელზე შემდეგ გავლენა იქონიეს სპარსელებმა. ლექტორმა დაწვრილებით გაგვაცნო ტანთსაცმელების თანდათანობითი განვითარება და ნიმუშები გვიჩვენა ეკრანზე, თუ რომელ ეპოქაში რა გვარ ტანისამოსს ატარებდნენ ქართველები.

# ქართული გიმნაზია

კვირას, 12 თიბათვეს, ქართული გიმნაზიის ეკლესიაში გარდახდილ იქმნა სამშვიდობო პარაკლისი მე-8 კლასში გამოცდათა დამთავრების გამო. პარაკლისს დაესწრნენ: გუბერნიის თავად-აზნაურთა მარშალი თავ. კ. ნ. აფხაზი, დირექტორი გიმნაზიისა ა. ბ. ჰიჭინაძე, მასწავლებლები გიმნაზიისა, გიმნაზიაში ახლად კურს დამთავრებულები, თბილისში მყოფნი მოწაფენი გიმნაზიისა და თითო-ოროლა გარეშე კაცი. გათავების შემდეგ დირექტორმა ბ-ნმა ალ. ჰიჭინაძემ შემდეგი მოკლე სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას: მერვე კლასში სწავლობდა 46 კაცი. თავისთავად ცხადია, ბევრი მათგანი ათასგვარ მიზეზთა გამო ჩამოქვეითებული იყო სწავლაში. რათა ეს ჩამორჩენილები თავიანთ ამხანაგებს დასწეოდნენ და საერთოდ მერვე კლასი ყველას ღირსეულად დაემთავრებიათ, პედაგოგიურმა საბჭომ საჭიროდ სცნო მერვე კლასი ორად გაყოფილიყო. ეს აზრი მოიწონა გამგე კომიტეტმაც და მე-8 კლასი მართლაც ორად გაიყო. მართალია, ამან გამოიწვია მე-6 კლასის ორი განყოფილების ერთად შეერთება, მაგრამ ამ კლასის მოწაფეთ ჯერ კიდევ დიდი დრო აქვთ კურსის დასრულებამდე და მათ შესახებ მომეტებულ მზრუნველობას მოვასწრებთ. მე-8 კლასის შესახებ მიღებულ ღონისძიების მუქთად არ ჩაუვლია. დიდი შრომა გასწიეს მასწავლებლებმა და თვით შეგირდებმაც და ყველა 46 კაცმა კურსი დაამთავრა და მოწიფულობის ატესტატს მიიღებენ. ბ-ნმა დირექტორმა წაიკითხა გვარები კურს დამთავრებულებისა და აღნიშნა, რომ როგორც ჰხედავთ კურს დამთავრებულთა შორის საქართველოს ყველა კუთხის და ყველა წოდების შვილები არიანო, რაიცა ნათლად გვიჩვენებს, რომ თბილისის ქართული გიმნაზია შემკრებია მთელი საქართველოს ძეთა და ასულთა.

დასასრულ ბ-ნმა დირექტორმა უსურვა კურს დამთავრებულთ ჯანმთელობა და ენერგიული მუშაობა უმაღლეს სასწავლებლებში, რათა აღჭურვილნი მეცნიერული განათლებით დაუბრუნდნენ სამშობლო მხარეს და თავიანთი სწავლა-ცოდნით ხელი შეუწყონ მის წინ მსვლელობას.

# ქ. მოსკოვში მყოფ ქართველთა შორის

რამდენიმე წელიწადია რაც ქ. მოსკოვში არსებობს **„ქართული სამეცნიერო, ხელოვანთა და სალიტერატურო საზოგადოება“**, რომელსაც მიზნად დაუსახავს ყოველ მხრივ შეისწავლოს ქართველთა ცხოვრება. განსვენებულმა პროფესორმა ალ. ხახანაშვილმა ამ ნორჩ საზოგადოებას 1000 მან. უანდერძა.

შეძლებისადაგვარად ეს საზოგადოება პირნათლად ასრულებს თავის დანიშნულებას. განსაკუთრებით ამ უკანასკნელ ერთი წლის განმავლობაში ამ საზოგადოებამ დიდი ნაყოფი გამოიღო. მსოფლიო ომმა მას ხელი არ შეუშალა და კულტურულ მუშაობას განაგრძობს: მართავს საუბარს, რეფერატებს, სცემს წიგნებს და სხვა.

უკანასკნელ ერთ წელიწადს ამ საზოგადოებამ ორი საყურადღებო წიგნი გამოსცა; 1) „თამარ დედოფალი და მისი დრო“ (ფ. 35 კ.) თხზულება ქ-ნ რომანოვსკისა და 2) „სამაჰმადიანო საქართველო“ (ფ. 60 კ.)—გ. ვეშაპელისა. გამომცემლობა „მოსკოვის ქართველთა საზოგადოების“ ბინაზედაა მოთავსებული (Москва, Поварская, 29, кв. 17) საიდანაც წიგნების დაბარება შეიძლება.

ზემოხსენებულ საზოგადოებას მრავალი სხვა მიზანიც აქვს დასახული და იმედია სისრულეში მოიყვანს. საზოგადოების თავმჯდომარედ კომპოზიტორი ბ. დიმიტრი არაყიშვილია,—ხოლო მის ამხანაგათ ბ. მ. ზანდუკელი. ამ საზოგადოების წევრად სხვათა შორის ბ. ნ. დურნოვოც ითვლებმ.

* *
*

დიდი ხანი არ არ არის რაც ჩვენ გაზეთში გამოცხადებული გვქონდა, რომ ქ. მოსკოვში დაარსდა ახალი „ქართული სამეცნიერო“ საზოგადოება ბ. გ. ღამბარაშვილის თაოსნობით. ამ საზოგადოებას დაუდგენია ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გახსნა. ამ გვარად ქ. მოსკოვში ენკენისთვიდან ორი ქართული სამკითხველო იქნება: ერთი „მოსკოვის ქართველთა საზოგადოებისა“, რომელიც ორი წელიწადია არსებობს და მეორეც ამ ახალი საზოგადოებისა. ისეთ დიდ ქალაქში როგორიც მოსკოვია მეორე სამკითხველოს დაარსება ზედმეტი არ იქნება, თუ კი შესაძლებელია, რადგანაც მაგალითად: კომერციულ ინსტიტუტის ქართველი სტუდენტობა სიშორისა გამო მოწყვეტილია „ქართველთა საზოგადოების“ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს, ისე რომ ახალი სამკითხველო დიდ სამსახურს გაუწევს სტუდენტობის ერთ ნაწილს, ამისათვის კი საჭიროა ახალი ქართული სამკითხველო „ზამოსკვარეჩიაში“ (ქ. მოსკოვის ერთ-ერთი უბანია) გაიხსნას.

ეს ახალი ქართული სამეცნიერო საზოგადოება თავის დანიშნულებით ცოტა რამით განსხვავდება ქართული სამეცნიერო, ხელოვანთა და სალიტერატურო საზოგადოებისაგან, მაშასადამე მათი შეერთება მოსახერხებელიც არის და სასურველიც. ამ ორი ერთგვარი საზოგადოების შეერთება მით უფრო საჭიროა, რომ ახლად დაარსებულ საზოგადოებას, მოქმედების წინ [illegible] წარუძღვა, ვითომც ეს საზოგადოება ოპოზიციას წარმოადგენს „მოსკოვის ქართველთა საზოგადოების“, რომელიც მოსკოვში [illegible] წელიწადია არსებობს.

ჩვენ არ გვინდა დავიჯეროთ, რომ ახალი საზოგადოება რომელიმე საზოგადოების საოპოზიციოთ დაარსებულიყოს, და მართლაც რომ ეს ხმები გაიფანტოს და მოსკოველ ქართველ სტუდენტთა და მცხოვრებთ შორის გაუგებრობა არ ჩამოვარდეს, საჭიროა ახლად დაარსებულმა სამეცნიერო საზოგადოებამ ხელი გაუწოდოს უკვე ცნობილ ქართულ სამეცნიერო, ხელოვანთა და სალიტერატურო საზოგადოებას ერთად სამოქმედოთ. ეს მით უფრო სასურველია რომ მრავალი ერთგვარი საზოგადოებების დაარსება 300—400 ქართველთა შორის, ისედაც მცირე ძალას დაჰქსაქსავს.

* *
*

„მოსკოვის ქართველთა საზოგადოება“ დღითი-დღე აფართოვებს მოქმედებას. იგი ენკენისთვიდან ქ. მოსკოვში ქართულ სკოლას აარსებს. ნებართვა უკვე მიღებული აქვს.

ამის გარდა ამ საზოგადოებას ერთი შესანიშნავი მიზანიც დაუსახავს. იგი აარსებს თავის ბინასთან გამომცემლობის სააგენტოს. განზრახული აქვთ ყველა იმ წიგნების დაბარება, რომელიც კი კავკასიის და კერძოთ ქართველთა ცხოვრებას ეხება. ამ სახით ქ. მოსკოვში წიგნები ქართველთა ცხოვრებიდან უფრო ადვილად გავრცელდება, რაც რუს საზოგადოებას საშუალებას მისცემს გაეცნოს ჩვენს ყოფა ცხოვრებას. ამ საქმის მოსაგვარებლად საზოგადოებას გადაუწყვეტია საქართველოში სხვა და სხვა გამომცემლობასთან მოლაპარაკება გამართოს, თუ რა პირობებში დაუთმობენ წიგნებს, იმ სააგენტოს, რომელსაც ქ. მოსკოვში ქართველთა საზოგადოება აწყობს.

ჩ. კაპანაძე.

# მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ

(წერილი საინგილოდან)

რამდენადაც მეტს ვაკვირდები ჩვენს ეკონომიურ ცხოვრებას, მუდამ თვალწინ მიდგება ხოლმე ერთი გარემოება, რომელშიაც ჩვენ ქართველები მეტისმეტს სიბეცესა და უცოდინარობას ვიჩენთ. ეს სიბეცე გახლავთ ბაზრის უცოდინარობა, მისი სიავ-კარგე, მისი მაზანდა და სხვა. აი ავიღოთ სიმინდი, რომელიც ეხლა იმერეთში მამასისხლად იყიდება და იმავე დროს ჩვენივე სიახლოვეს თერგის ოლქის ზოგიერთს ადგილებში 40--50 კაპიკად. ასევე უცოდინარი ვართ სხვა დარგშიაც. აი დღეს იმერეთში აბრეშუმის მოსავლიანობაა, ამ მეურნეობის დარგით ღარიბი გლეხ-კაცობა ცოტათი მაინც მოითქვამდა სულსა, მაგრამ საუბედუროდ საქმე ასე არ არის, გლეხ-კაცს ცარიელა შრომა რჩება ხელში და მთელი მოგება კი ჩარჩვაჭრების ხელში გადადის. აი სწორედ ეხლა მივიღევით ცნობა, რომ ხონში და საზოგადოდ იმერეთში 20—22 მანეთში იყიდება აბრეშუმის პარკიო. ასეთი დაცინვა ბედისა განა შეიძლება, ასეთი გაუგებრობა და უცოდინარობა ბაზრისა მარტო მხოლოდ ჩვენში ღა შეიძლება. დღეს როცა იმერეთიდგან ასეთი ცნობა მოვიდა **ნუხაში აბრეშუმის პარკის ფასი 40—45 მანეთია, ხოლო მთელს საინგილოში 38—41 მანეთი.**

ბ-ბო გაუფრთხილდით თქვენს საცხოვრებელს, ნუ ჰყრით და ნუ აძლევთ ჩალის ფასად ჩარჩ-ვაჭრებს. გაიგევით ჯერ ბაზარი და მერე ისე გაიტანევით თქვენი საქონელი გასასყიდად. საყოველთაოდ ვაცხადებ, რომ თუ ვისთვისმე საჭირო იქნეს პარკის ბაზარი მოგვმართონ სოფ. კოხში (ზაქათალის ოლქი) მომხმარებელს საზოგადოებას და დიდის სიამოვნებით მივაწვდით ცნობებს და შუამავლობას გაუწევთ აბრეშუმის მექარხნეებთან.

საზოგადოდ აბრეშუმის პარკის ფასები ყველგან კარგია და ჩემის აზრით ქუთაისის გუბერნიაში ხელოვნურადა სწევენ ფასებს ჩარჩები. ჩემის აზრით კი ყველაზედ უკეთესი იქნება ხალხს კოოპერატივებმა გაუწიონ ხელმძღვანელობა და თავის დროზედ იზრუნონ ხოლმე პარკის გასყიდვასა და ბაზრის შოვნაზედ. კოოპერაციებო, უხელმძღვანელეთ ხალხს და ჩვენი საქართველოს განაპირა კოოპერაცია საინგილოში ყოველივე დახმარებას აღმოგიჩენთ.

ე. ედილი.

## დამფუძნებელი კრება

### თბილისის გუბერნიის სახალხო მასწავლებელთა დამხმარე საზოგადოებისა

11 თიბათვე.

უკანასკნელი კრება 11 თიბათვეს შესდგა. დილით $9^1/_2$ საათ. **ლ. ბოცვაძემ** წაიკითხა მოხსენება „ეროვნული აღზრდა".

მეორე მოხსენება გრ. ყიფშიძემ წაიკითხა: „ქართული ენის კანონები".

ლექციის შემდეგ მასწავლებლები შეეხნენ საბავშვო ჟურნალების საკითხს. თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სკოლებში ნაკლებ იწერენ საბავშვო ჟურნალებს, რასაც ჯეროვანი ყურადღება უნდა მიექცეს. ამის შესახებ თავმჯდომარემ კრებას შემდეგი შინაარსის რეზოლიუცია წარუდგინა: ეთხოვოს სახალხო სკოლების დირექციას, სკოლებს საბავშვო ჟურნალები თავისი ხარჯით გაუწეროს.

კრებამ ეს რეზოლიუცია ერთხმად მიიღო.

პირველ საათისათვის გამოსამშვიდობებელი კრება უნდა დაწყებულიყო. მასწავლებლები მხოლოდ ორი საათისათვის გამოცხადდნენ და თავმჯდომარემ კრება გახსნა.

**ბ. ვ. ბურჯანაძემ** (თავმჯდ.) წაიკითხა მისალოცი დეპეშა ყაზახიშვილისა პეტროგრადიდან.

ამის შემდეგ თავმჯდომარემ კრებას მოახსენა, რომ თბილისის ქალაქის სამმართველომ მასწავლებლებისათვის თხოვნისამებრ 50 ფუთი შაქარი გადასდო (გირვ. 23 კ.). ამ შაქარს მასწავლებლები გაინაწილებენ.

ამ მცირე განცხადების შემდეგ ბ-მა **ბურჯანაძემ** კრებას მოაგონა ქ. შ. წ. კ. გამ. საზოგადოების თავმჯდომარის სიტყვა, სადაც აღნიშნავდა სკოლის რეორგანიზაციის საჭიროებას. ამ საკითხის განხილვა დაევალა გამგეობას, რომელიც შეიმუშავებს პროექტს მომავალ საზოგადო კრებაზე წარსადგენად.

ამის შემდეგ კრებამ მოისმინა, დამფუძნებელ კრებების ოქმები და მცირე რამ შესწორებით მიიღო.

კრებაზე გამოირკვა, რომ პრეზიდიუმის მდივნები ბოლომდე არ ესწრებოდნენ კრებებს, რაც ხელს უშლიდა ოქმების სისწორით შედგენას.

კამათი იმართება იმის შესახებ თუ რა დამოკიდებულება უნდა არსებობდეს მასწავლებელთა საზოგადოების გამგეობასა და სექციათა შორის.

ირკვევა, რომ სექციების წარმომადგენლები ესწრებიან გამგეობის კრებებს ინსტრუქციის შემუშავების დროს ვადამწყვეტის ხმით.

დასელები (რამდენიმე კაცი) ამის წინააღმდეგნი არიან.

**თავმჯდომარე** კამათსა სპობს, რადგანაც წარსულ კრებაზე გამოირკვა ეს საკითხი, ე. ი. გამგეობა და სექცია ინსტრუქციების შემუშავების დროს თანასწორი უფლებით მუშაობენ.

ბოლოს კრებამ დაადგინა: დეპეშით მადლობა გამოეცხადოს ლექტორთ, რომელთაც არ დაიშურეს შრომა და ცოდნა მასწავლებელთათვის.

მადლობა გამოეცხადოს ეგრედვე: სადეპუტატო საკრებულოს, რომელმაც შესწირა—500 მან.

ქალ. თბილისის თვითმართველობას ზრუნვისათვის და ფულის შეწირვისათვის—700 მან.

საქველმოქმედო საზოგადოებას, რომელმაც შესწირა—100 მან.

მასწავლებელთა კავშირს საწევრო ფული ათას მანეთზე მეტი მიუღია. მადლობას უცხადებს კრება ყველა იმ პირთ და დაწესებულებებს, რომელნიც მასწავლებელთა დამფუძნებელ კრება რამეთი დაეხმარნენ.

კრების დახურვის წინ **ბ. ვ. ბურჯანაძე** მხურვალე სიტყვით გამოემშვიდობა სოფლის მასწავლებელთ და უსურვა მათ ახალ საქმეში გამარჯვება.

ბოლოს კრებამ მადლობა გამოუცხადა პრეზიდიუმს შრომისთვის. დამფუძნებელი კრება დაიხურა 11 თიბათვეს, ნაშუადღევის 4 საათზე.

## ღარიბ მოწაფეთა

### შემწე თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადოება

11 თიბათვე

კრება დაიწყო საღამოს $8^1/_2$ საათ. წინა დღის კრების ოქმის წაკითხვის შემდეგ ლაპარაკი ისევ სარევიზიო კომისიისა და ბ-ნ ალ. მდივნის შესახებ ასტყდა.

**ექ. ვახ. მუხხელიშვილი** ეხება წინა დღის დადგენილებას და აცხადებს, რომ იგი დადგენილება ფორმალურია; კრებამ არ შეიწყნარა სარევიზიო კომისიის მოხსენების დასკვნა და უარჰყოფს იგი. მაგრამ ასეთი დადგენილება ვერ დააკმაყოფილებს ბ-ნ მდივანს. რათა ზნეობრივი ღირსება მდივნისა ყოველივე ეჭვს გარეშე დარჩეს, საჭიროა კრებამ ნდობა გამოუცხადოს მას. ასეთი რეზოლიუცია წინა კრებაზედაც იყო წარმოდგენილი, მაგრამ თავმჯდომარემ ადრე დახურა კრება და წინადადება კენჭ უყრელი დარჩა. ამიტომ ორატორი თხოულობს ეხლა ეყაროს კენჭი მის წინადადებას.

**თავმჯდომარე ბ-ნი პლ. გვერდწითელი** აცხადებს, რომ წინა კრების დადგენილების შეცვლა არ შეიძლება, რადგან ადვილი შესაძლებელია, რომ მაშინდელი შემადგენლობა კრებისა სხვა ყოფილიყვეს და ეხლანდელი სხვა იყვეს.

**ბ-ნ გ. რცხილაძეს** არ ნიაჩნია საქმე დამთავრებულად. მაგალითად, კენჭი არ უყრიათ წინადადებისათვის შესახებ ახალი სარევიზიო კომისიის არჩევისა, შეეხო რა თავმჯდომარის მიერ გამოთქმულ აზრს, ორატორი ამტკიცებს, რომ ახალი ესა თუ ის რეზოლიუცია როდი აქარწყლებს წინანდელ დადგენილებას, არამედ ავსებს მას. რადგან ბევრნი თხოულობდნენ, რომ რეზოლიუციებისათვის კენჭი ეყარათ, თავმჯდომარემ საჭიროდ სცნო კამათი განახლებულიყო.

ორატორები სამ ბანაკად დაიყვნენ: ერთნი იმ აზრისა იყვნენ, რომ სარევიზიო კომისიასაც და ბ-ნ მდივანსაც ნდობა გამოსცხადებოდა; მეორენი შეუწყნარებლად ჰპოვებდნენ ასეთ წინადადებას რადგან იმაში ერთი მეორის საწინააღმდეგო აზრს ჰხედავდნენ და ამტკიცებდნენ ნდობის გამოცხადების საჭიროებას მდივნისათვის. მესამენი იმდენად არ ეხებოდნენ სარევიზიო კომისიის დასკვნას და ბ-ნ ალ. მდივანს, არამედ აღნიშნავდნენ გიმნაზიაში და საზოგადოებაში არსებულ ნაკლს საქმისა და ანგარიშის უწესოდ წარმოებისა და დისციპლინის უქონლობის მხრივ და მოითხოვდნენ ახალ კომისიის არჩევას საქმეების მოსაწესრიგებლად. ბ-ნი **ეფ. თაყაიშვილი**, მაგალითად, ამტკიცებდა ისეთ კომისიის საჭიროებას, რომლის მოხსენებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება.

კრება დაიხურა ისე, რომ ვერც ერთი ახალი რეზოლიუციისათვის კენჭის ყრა ვერ მოასწრეს.

კრება გადაიდვა შემდეგი დღის საღამოს 8 საათისათვის.

## დაბა-სოფლები

**დ. ცხინვალი.** გორის მაზრაში ცხინვალისთანა საალებ-მიცემო, დიდ ბაზრიანი სავაჭრო ადგილი არა მგონია რომელიმე ან დაბა ან სოფელი იყოს. მთელი დიდი და პატარა ლიახვის ხეობა, ვაკე სოფლები თუ მთის აუარებელი ხალხი ცხინვალს ეტანება, რადგან გორი, სურამი, გომი და ხაშური ძალიან დაშორებულია. ამიტომ ძალა უნებურად ცხინვალში მოაქვთ თუ ვისმე რამე აქვს გასასყიდი, მოჰყავთ აუარებელი ყოველგვარი საქონელი, შინაური ფრინველი და სხ. ადგილობრივი ვაჭრები ყიდულობენ ნახევარ ფასად და თითონ კი ერთი ათად ჰყიდიან.

დუქნებში აქ ყველაფერი მამასისხლად გახდა. შაქარი გირვანქა 40—50 კ. უბრალო 10—12 კაპეიკიანი ჩითი დღეს 60—70 კ.

ასეთი შემთხვევაც ხშირია: მოდის სოფლიდან რომელიმე ოჯახის წევრი და ყიდულობს ორ წყვილ ჩუსტს № 23 და № 21 ბავშვებისათვის იმ პირობით, რომ უკეთუ არ არგო რომელიმეს შესცვალოს შემდეგ ნომერზე ან და დაუბრუნოს უკან ფული. ვაჭარიც სთანხმდება, ართმევს ფულს, მეორე დღეს უკან მოაქვს ერთი წყვილი, ბავშვს არ გამოადგა, ერთი ნომრით მეტი მომიღ, ვაჭარიც ათ შაურის წამატებას სთხოვს. მყიდველს ჩუსტში ცხრა აბაზად მიუცია, ვაჭრის საქციელი აოცებს, მიდის გაბრაზებული თავში მიაყრის ჩუსტებსაც, ფულსაც და გაჰშორდება.

ბევრი ასეთი რამე ხდება ჩვენსკენ. საჭიროა შეერთდნენ ქართველები და კოოპერატიული სავაჭრო გახსნან, ყველა დიდის სიამოვნებით ჩაეწერება.

ამ საგნის შესახებ ამას წინად აღიძრა საკითხი, თხოვნაც გაიგზავნა სადაც ჯერ არს. განზრახულია კოოპერაციაში მხოლოდ ქართველები მიიღონ წევრებად. არიან ამ აზრის მოწინააღმდეგენიც.

წერა კითხ. გამავრ. საზ. ადგილობრივ განყოფილების მოქმედება ძალიან სუსტია. ეხლა კიდევ ხმა დადის, მისი თავმჯდომარე დავითიშვილი გადაჰყავთ აქედან. თუ ეს ხმა გამართლდა, ამ განყოფილების საქმე უფრო უკან წავა.

აქ არის ფოსტის განყოფილებაც. ფოსტა კვირაში ორჯელ მოდის გორიდგან სამშაბათობით და პარასკეობით. ხშირად იკარგება გაზეთები და რიგზე ვერ ღებულობს ხალხი.

ცხინვალში არსებობს კლუბიც, სადაც გონივრული გასართობები ძალიან იშვიათად იმართება.

დ. ცხინვალი სანიტარულის მხრივ ყოვლად უპატრონოდ არის მიტოვებული, მეტადრე ებრაელების უბანია უსუფთაო.

იყო აქ მშვენიერი როტონდა თავის კარგა მოზრდილი სცენით, ოთახებით, ბაღით და სხ. სადაც იმართებოდა წარმოდგენები იყო მოთავსებული სამკითხველოც, მაგრამ არა თუ ეს შენობა თვით ადგილიც სხვის ხელში გადავიდა. შემდეგ დაიწყეს უფრო ახლო და მოხერხებულ ადგილს თეატრი. მაგრამ მას აქეთ განვლო თითქმის 14—15 წელმა, ყოველს ზაფხულს იმართება მის სასარგებლოდ წარმოდგენა მაგრამ არ იქნა არ ეღირსა რიგიანი მოწყობა.

ილია ბაქრაძე.

## სამედიატორო სასამართლოს განაჩენი

გაზეთ „საქართველოს" № 105 მოთავსებული იყო ბ. ალექსანდრე ქარუმიძის წერილი, რომლითაც იგი საჭიროდ მოითხოვდა თედო რაზიკაშვილისაგან ბოდიშის მოხდას იმის გამო, ვითომ თედო რაზიკაშვილი ავრცელებდა არა სასიამოვნო ხმებს ბ. ალ. ქარუმიძის შესახებ. ამავე გაზეთის შემდეგს ნომერში მოთავსებული იყო თედო რაზიკაშვილის საპასუხო წერილი, რომელშიაც იგი სხვათა შორის აცხადებდა პირში წყალს არ ჩავიყუნებ და სასამართლოში ყველაფერს ვიტყვიო.

სამედიატორო სასამართლო, რომელიც შესდგებოდა თავმჯდომარის ზ. ზ. გოგებაშვილისა და წევრთა: დ. ნ. დიასამიძის, ი. გ. ციციშვილის, ს. რ. მაჭავარიანის და ნ. მ. კლიმიაშვილისაგან, შეიკრიბა ამ საქმის გასარჩევად 5 თიბათვეს 1916 წ. სასამართლომ ჩამოართვა ჩვენება ორივე მხარეს და მოუსმინა გამოწვეულ მოწმეთ, გამოიტანა შემდეგი განაჩენი აგრეთვე მოწმეთა კითხვის შემდეგ, არავითარი საბუთი არა ჰქონდა შეურაცყოფილად ეცნო თავი და თედო რაზიკაშვილისაგან ბოდიშის მოხდა მოეთხოვა. მეორეს მხრივ მოისმინა რა როგორც თედო რაზიკაშვილმა ვერ დაასაბუთა ის წინადადება, რომელსაც შეეძლო ეჭვები აღეძრა მკითხველ საზოგადოებაში ბ. ალექსანდრე ქარუმიძის პიროვნების შესახებ, დაადგინა ინციდენტი გამორკვეულად ჩასთვალოს.

თავმჯდომარე სასამართლოსი **ზ. ზ. გოგებაშვილი.**

წევრნი: **დიმიტრი დიასამიძე, ნ. კლიმიაშვილი, ივ. ციციშვილი და ს. მაჭავარიანი.**

## ღია წერილი*)

(წერილი რედაქციის მიმართ)

ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ ეს ღია წერილი, სრულიად უცვლელად, ჩემი პასუხისმგებლობით, მომითავსოთ თქვენს პატივცემულს გაზეთ „საქართველოში", 1910 წლიდან დღემდის თბილისსა და ქუთაისში გამოსულ მუშათა გაზეთების ხელმძღვანელ ინტელიგენტების: 1) ნილის, 2) გალიორკას, 3) განლასის, 4) შვარცის, 5) გ. ც-ძის 6) პ. გ-ლის, 7) ნ. ხ—კის, 8) ნ. რ—ლის და 9) ს. ჯ—ძეს მიმართ (გულწრფელი ამხანაგების საყურადღებოდ.)

ბ. ბ. თქვენ, დიდი ხანია მდევნით, ზოგმა თქვენგანმა ხომ ჩემს წინააღმდეგ ინტრიგით დაიწყო მუშათა საქმეში „მოღვაწეობა" (გაიხსენოს ნ.—რ—ლმა 1902 და 1903 წ.წ. ბათუმსა და ქიათურაში).

სანამ თქვენ, ჩემს დევნას ჩუმად, ზურგს უკან ეწეოდით, მე უყურადღებოდ ვსტოვებდი, ანგარიშს არ უწევდი—დაიღლებიან მეთქი, ასე ვფიქრობდი—და მუშაობას მუყაითად განვაგრძობდი... ამის მიუხედავად, თუ ამიტომ, თქვენ უფრო აძლიერებდით ჩემს წინააღმდეგ ინტრიგასა და სხვა... ამ ბოლო დროს ხომ უკიდურესობამდე გაათართოვეთ და გააღრმავეთ ის! ამისთვის საკმარისი დარჩა, ხმა ამომელო, თბილისის ქალაქის თვითმართველობაში არსებული ბოროტმოქმედებანი, თქვენგან ნება აუღებლად დამეგმო; თქვენი სურვილის წინააღმდეგ შევბრძოლებოდი ქალაქის „მამათა": ა. ი. ხატისოვსა და სხვათა 1910 წლიდან სასტიკად მსჯით მე, და მტკიცედ იცავთ ქალაქის მოურავს ა. ი. ხატისოვს და სხვათ... თქვენ მტკიცედ ადგიხართ ჩემი დამცირების, ხოლო ქალ. მოურავის ა. ი. ხატისოვის გულის მოგების გზას; რომ როგორმე მოიმადლიეროთ „სასარგებლო" კაცი, ბ-ნი ხატისოვი, ხოლო მე, თქვენი ურჩი საბოლოოდ გამტეხოთ, მასთან და თქვენს უკუღმართობასთან ბრძოლაზე ხელი ამაღებინოთ—დამიმორჩილოთ, ხელი მიჰყავით ჩემს ზნეობრივად, საზოგადოებრივად, ნივთიერადა და ფიზიკურად დასჯას... მსჯით უმოწყალოდა და უხმოდ... თქვენ იმდენად ხართ გაბოროტებული, რომ ქალაქის „მამებთან" შეხმატკბილებულნი მიშლით ხელს სადმე საქმეზე დავდგე, ვწიო საზოგადო სასარგებლო სამსახური და ჩემს მრავალ რიცხოვან ოჯახს საზრდო გაუჩინო; იმ ოჯახს, რომლის კეთილ-დღეობა და ქონებაც, ჯანმთელობასთან ერთად მუშათა საერთო საქმეს შევალიე... ჩემი დამარცხებისა, ხოლო ქალაქის „მამათა" გამარჯვების სურვილით თქვენ, ჩამოითხოვეთ ვექილები და ასე მომაკვლით სასამართლოში დამცველი; ესე მოიქეცით მაშინ, როცა ქალაქის საბჭომ ჩემი, გამგეობაზე საბჭოში წაყენებული, ბრალდებები არ განიხილა, ხოლო მე ცილის მწამებლად მომნათლა და პასუხის გებაში მიმცა და სხვა და სხვა... (იხ. თბილისის გაზეთებში 1914 წლის 17 მარტის საბჭოს კრების ანგარიშები და შემდეგ გაზ. „თან. აზრის" 1915 წლ. 17 ივნისის № 88.

ესეთი თქვენი, ჩემთან მტრული და ველური, ხოლო ქალაქის მოურავ ბ-ნ ხატისოვთან მეგობრულ-ქველური დამოკიდებულობის მიზეზის, თუ მიზეზების გასაგებად მე არა ერთხელა და ორჯელ მოგმართეთ, პირადად და ამხანაგების პირით, გეთქვათ ჩემთვის; რით ხელმძღვანელობთ ერთის მხრით ჩემს უმოწყალოდ დევნაში, ხოლო მეორე მხრით ასე თავგამოდებით ქალ. მოურავის ა. ი. ხატისოვის, ჩემს დასამარცხებლად მცველობაში, მაგრამ თქვენგან პირდაპირ პასუხს ვერ ვეღირსე... ახლა გეკითხებით წერილობით სთქვით რით ხელმძღვანელობთ?

1) იმით ხომ არა, რომ თქვენ ქალაქის მოურავის ა. ი. ხატისოვის წინააღმდეგ ჩემი გამოსვლა, როგორც ერთმა თქვენთაგანმა ს. ჯ—ძემ 1914 წელს მარტში, საბჭოს კრებამდე, ამხ. ვ. ვ—ნოვის თანადასწრებით, მისაყვედურა, მიგაჩნიათ „ცუდ პოზიციაზედ" დგომად, ხოლო ა. ი. ხატისოვის მუნიციპალური „პოზიცია" კი კარგ პოზიციად?

2) ან იქნება თქვენ გგონიათ ქალ. მოურავი ა. ი. ხატისოვი და სხვანი ჩემს წინააღმდეგ ბრძოლაში საზოგადოებრივ-პრინციპიალურს ნიადაგზე იდგენ, საზოგადო ინტერესს იცავდენ, ხოლო მე კი, ჩემი კერძო, პირადი ინტერესი, ან უბრალო თავმოყვარეობა და ჯიბიანობა მამოქმედებდეს? როგორც ამას ავრცელებენ ქალ. მოურავი ა. ი. ხატისოვი და მისი ნებსით და უნებლიეთ აგენტები. სთქვით და დაგიმტკიცებთ წინააღმდეგს.

3) ან იქნება იმით ხელმძღვანელობთ, რომ მე, როგორც პ. ჯ—ძემ კამათის დროს „შეურაცხყოფილმა" მითხრა: „**ერთი უბრალო მუშა**" ვარ და არა თქვენებრ ბუმბერაზი ინტელიგენტი?

4) ან იქნება ნ. რ—ლივით გშურთ, არ გემეტებათ ჩემთვის, „უბრალო მუშისთვის" ეს ჩემი „**ცენტრალურ ფიგურად**" გამომყვანი შემთხვევა?

ან შეიძლება უფრო ღრმა პრინციპიალურს მიზეზებს ჰქონდეს ადგილი, რამაც ჩვენ თავიდანვე პირის-პირ დაგვაყენა, ერთის მხრით თქვენ, ხოლო მეორე მხრით მე.

**მუშურ-ინტელიგენტური** მსოფლმხედველობა ხომ არ არის ამის მიზეზი? ესენი ხომ არ ებრძვიან ერთი მეორეს, მუშათა საქმეში უპირატესობის ხელში ჩასაგდებად.

1) სახელდობრ ის, რომ თქვენ გსურთ მუშები მჯიღში გყავდესთ ჩაჰერილი და თქვენს სურვილზე ატარებდეთ, როგორც დღეს და დღემდე; ხოლო მე კი თავიდანვე ვცდილობ: თქვენ იქნეთ ჩაჰერილი ჩვენს, მუშათა საერთო მჯიღში, რომ ველარ ახერხებდეთ ჩვენი, მუშათა საერთო ნებისა და დისციპლინა-ეთიკის დაუსჯელად ფეხქვეშ თელვას, როგორც დღეს და დღემდის?

2) სახელდობრ ის, რომ თქვენ მუშების საერთო აზრს გაურბიხართ და ებრძვით: ჩვენს მუშათა ოჯახში მასპინძლობას ჩემულობთ, ხოლო ჩვენ, მუშებს დაუპატიჟებელ სტუმრებად და გვცნობილობთ; და მე კი, თანახმად 1905 წ. „მოგზაურში" მასწავლებელი ამხანაგი **ანის** განმარტებისა, თქვენ სტუმრებად გთვლით და თავიდანვე სტუმრის ადგილს გიჩენთ მუშათა საქმეში, ხოლო მუშებისათვის მასპინძლის ადგილს მოვითხოვ და ვამხელ თქვენს უზურპატორობასა და მავნე დიქტატორობასა ჩვენზე, მუშებზე, რასაც თქვენ ჩვენი, მუშათა საერთო საქმის საზარალოდ სჩადიხართ (რა თქმა უნდა ეს მოვდით არა ცუდის განზრახვით, არამედ თქვენში მუშურის მაგიერ ინტელიგენტურ-ღენერალურისულისკვეთების-ბატონობით; რაც ჩვენს, მუშების სისუსტეს უნდა დაბრალდეს).

3) სახელდობრ ის, რომ თქვენ მუშათა გაზეთი გადააქციეთ ჩვენი, მუშათა საერთო აზრის დამუშავების ხელის შემშლელ იარაღად და ასეთად ცდილობთ დარჩეს. ამას სჩადიხართ მაშინ, როცა მუშათა გაზეთი უნდა ეხმარებოდეს მუშებს საერთო აზრის დამუშავება-დაცვაში და შეგნება-შეკავშირებაში, ხოლო უმცირესობას ეძლეოდეს „გზა ხსნილი" თავის აზრების გამოთქმისა და უმრავლესობის მოქმედებისა და აზრების გაკრიტიკებისა და სხვა.

4) სახელდობრ ის, რომ თქვენ გზას გვიხშობთ კრიტიკულად მოაზროვნე, მოწინავე, შეგნებულს მუშებს და არსად არ გვაძლევთ ნებას თავის წარმომადგენლობა თვით ჩვენ გავსწიოთ; თვით იქაც კი, სადაც მუშას ინტელიგენტზე უკეთ შეუძლიან ამა თუ იმ საქმის შესრულება, თქვენ, ინტელიგენტები, ინტელიგენტს სჩხირავთ; ძალიან ხშირად თქვენ, რომ იტყვიან: „ძაღლის ალაგას კატას აყენებთ" ხოლმე და სასაცილო მდგომარეობაში გვაყენებთ იმ მუშებს, ვისი სახელითაც თქვენ უენო ინტელიგენტებს სამჭერმეტყველოდ აგზავნით და სხვა. ამას სჩადიხართ მაშინ, როცა თვით მუშებიდან უნდა უწყობდეთ ხელს, ყოველი მუშური საქმისთვის შესაფერი ნიჭის მქონე მუშების გამორჩევა-მომზადებასა და სხვ.

ამხანაგებო, მუშებო! რადგანაც, მიუხედავად მრავალი გზით ცდისა, ვერ ველირსე ზემოხსენებული ინტელიგენტებისაგან ამხანაგურს, პირდაპირს პასუხს და მათვე არ მომცეს ნება ჩვენი, მუშათა გაზეთით, თქვენამდე მომეტანა ჩემი გულის ვარამი, ამიტომ იძულებული გავხდი სტუმართ-მოყვარეულს სხვათა გაზეთის პატივცემულ რედაქციისათვის მეთხოვნა ამ წერილის თქვენ სასმენად დაბეჭდვა.

მე მჯერა, რომ მუშებში გამოინახებიან გულწრფელი ამხანაგები და სათანადო ყურადღებას მიაპყრობენ ამ წერილში ჩემგან მოთხრობილს და მომთხოვენ ჩვენი გაზეთით დავასაბუთო ყველა ჩემგან წამოყენებული ბრალდებები.

ხოლო ჩვენი გაზეთის დღევანდელს ხელმძღვანელთ იძულებულს ჰყოფენ შინაურს საქმეებში, შინვე, თავისს ორგანოში გახადონ შესაძლო გაუგებრობის თავიდან აცილება და მოსთხოვენ მათ პასუხს აქ წამოყენებულ ბრალდებებზე.

მხოლოდ გულწრფელ ამხანაგების პატივისმცემელი

დავით ხართიშვილი.

*) ჩვენ შეძლებას ვაძლევთ წერილის ავტორს თავის საკუთარის ენით, კილოთი და ლოღიკით ელაპარაკოს თავისიანებს. ამ მოსაზრებით წერილი უცვლელად იბეჭდება.

რედ.

## თეატრი

სახალხო სახლი.

დღეს, სახალხო სახლში, ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით წარმოადგენენ „**ინსტიქტს**" ვლ. ს. ალექსი-მესხიშვილის თარგმანს და **მათიკოს** მესამე მოქმედებას.

**ხარფუხის კლუბი.**

საბშაბათს 14 თიბათვეს ხარფუხის საზოგადო კლუბში, გაიმართება სომხურ ენაზე ცნობილი ოპერეტა **არშინ მალ-ალან.** ოპერეტაზე შესვლა უფასოა.

## შემოწირულება

ქართველ ქალთა სემინარიის დამხმარე კომიტეტმა მიიღო ექ. ანდრონიკაშვილისაგან 1 მაისს (თამარის დღეს ქ. ტრაპიზონში შეგროვილი ფული 62 მ. 50 კ. სია შემომწირველთა: ექ. ანდრონიკაშვილისაგან 5 მან., ექ. კახნიაშვილისაგან 5 მ., ექ. კლიმიაშვილისაგან 5 მ., ექ. დიმ. ჯავახიშვილისაგან 5 მ., ბ-ნ ბ. კვირიკელია 5 მ., ბ-ნ ს. ბოლქვაძე 5 მ., ბ-ნ მელაძე 5 მ., ექ. ცინცაძე 3 მ., ქ-ნი ცინცაძისა 3 მან., ექ. დემურია 3 მ., ქ-ნ ან. ინჯია 3 მ., ქ-ნ ო. ნარიმანიძე 3 მ., ბ-ნ ბ. კობარია 2 მ., კანდელაკი 2 მ., ლ. ნატრაძე 2 მ., ნ. კოტრიკაძე 50 კ., ჩხაპოლა 20 კ., ი. ქუთათელაძე 20 კ., მღვდელი ჩობახაშვილი 15 კ., მ. ნანობაშვილი 15 კ., ვენ. გრ. აბროლიანი 10 კ., დიმიტრი ჯანჯღავა 10 კ., ვ. ხელაძე.

კომიტეტი დიდ მადლობას მოახსენებს ყველა ზემოთ მოყვანილ პირთ, რომ არ დაიშურეს თავიანთი წვლილი ამ კეთილ საქმისათვის.

რედაქტორ-გამომცემელი

**ხანდრო შანშიაშვილი**


## საჭიროა
## ტყემლის ტყლაპის
## კარგი მკეთებელი

მისამართი: სიღნაღი, ნ. ახმეტელაშვილი

(3-136-1)


### კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.03 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 10.33 | სალ. |
| ბორჯომის | სამგზ. | № 17, | 8.27 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 19, | 3.19 | დღ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 11.13 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 8, | 3.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.28 | სალ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-3, | 11.13 | სალ. |
| თელავისაკენ | № 4, | 7 „ | 58 „ | დილ. |

**თელავიდან**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 9.52 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.38 | სალ. |
| ხაშ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.43 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | სალ. |
| ბაქოდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | სალ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 8.48 | სალ. |
| თელავიდან | № 3, | . 7 „ | 58 „ | სალ. |


ქ. თბილისში, ოლგას ქ. № 6, ჟურნალ-გაზეთების კანტორა და წიგ. მაღაზია

## „განათლება"-ში

**იყიდება** ყოველგვარი ქართული წიგნები, მწერ. სურათები, ომის ქარტები რომლებიც გაეგზავნება მსურველთ მოთხოვნილებისთანავე.

პროვინციელ აგენტებს გაეგზავნება აგრეთვე ყველა ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები: „თანამედროვე აზრი", „საქართველო", „ეშმაკის მათრახი", „თეატრი და ცხოვრება", „სახალხო ფურცელი", „ზვირთი", ჟურნ. „განათლება" კავკაზსკოე სლოვო", „თბილისის ლისტოკი", „ორიზონი", „მშაკი" და „ხათაბალა".

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзѣ.

ტელეგრამის ადრესი: Ольгинская 6. Таварткиладзе.

## თევზის მრეწველნი
## ძმ. ძევზელოვები

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.

### განყოფილება ავლაბარში

კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-ძმით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის ხიზალადა, მცირე მარილიანი, შავი „„მეშოხნი" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.




სტამბა „ცხოვრება" კალაწაძისა, გაზიერის შესახვევი № 4.